აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№11 (25.035) ხუთშაბათი, 2 - 3 თებერვალი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 7-12, შიდამთიან რაიონებში - 2-7, მაღალ მთაში -0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფეროული წნევა – 760 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილმა სტოკჰოლმში შეხვედრები გამართა შვედეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე არონ ემილსონთან და კომიტეტის წევრებთან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებიდან, ასევე, ეუთოს საპარალმენტო ასამბლეის შვედეთის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე იოჰან ბუზერთან. შეხვედრებისას ხაზგასმით აღინიშნა შვედეთის, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა საქართველოს ევროპული პერსპექტივის მხარდასაჭერად და ასევე, შვედეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები.

* * *

თუ დასავლეთი შეცდომას აღარ დაუშვებს, საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს, თუკი დაუშვებს - მაშინ საქართველო სტატუსის გარეშე დარჩება, - განაცხადა „ხალხის ძალის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დიმიტრი ხუნდაძემ. მისი თქმით, საქართველო მზადაა კანდიდატის სტატუსისთვის, თუმცა მისთვის მზაობა დასავლეთმაც უნდა გამოთქვას. „ჩვენი ევროკავშირში ყოფნის საჭიროება ორმხრივია - როგორც საქართველოს სჭირდება ევროკავშირში ყოფნა, ისე სჭირდება ევროკავშირს, რომ საქართველო მის შემადგენლობაში იყოს“, - აცხადებს ხუნდაძე.

* * *

საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ხატია დეკანოიძემ აღნიშნული თანამდებობა დატოვა, მისი ეს გადაწყვეტილება პარტიის ახალი თავმჯდომარის ლევან ხაბეიშვილის განცხადებას მოჰყვა, რომელმაც თქვა, რომ მზად არის სააკაშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ უარი თქვან მანდატებზე პარლამენტსა და საკრებულოებში. დეკანოიძე ამბობს, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს პოპულისტური პოლიტიკა, რადგან მას მომავალი არ აქვს არათუ პარტიაში, არამედ ზოგადად.

* * *

გამოქვეყნდა „ადამიანის თავისუფლების ინდექსი 2022“, რომელიც მსოფლიოს 165 ქვეყანასა და ტერიტორიაზე ადამიანის თავისუფლების ხარისხს ათობით სხვადასხვა ინდიკატორსა და კვლევაზე დაყრდნობით სწავლობს. შეფასების სისტემა წელს მნიშვნელოვნად გადამუშავდა. ცვლილებების მიუხედავად, საქართველო მსოფლიო რეიტინგში 11 პოზიციით დაწინაურდა და 54-ე ადგილიდან 43-ეზე გადაინაცვლა. რეიტინგის გაუმჯობესება საქართველოსთან ერთად მხოლოდ 8 ქვეყანამ მოახერხა. შესაბამისად, საქართველო, წლიური თვალსაზრისით, დაწინაურებულთა საუკეთესო ათეულშია.

მოამზადა
ია შველიძემ

ფილიპინების რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში...

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძე გუშინ ტურიზმის მინისტრ მარია ესპერანსა ქრისტინა გარსია ფრანკოს შეხვდა და მას ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობები და ტურიზმის სექტორში პოტენციური პროექტები გააცნო.

„შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში, აჭარაში არსებულ ტურისტულ პოტენციალზე ისაუბრეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს. თორნიკე რიუვაძემ ფილიპინების რესპუბლიკის ტურიზმის მინისტრი ქვეყანაში არსებული ტურისტული რესურსებისა და ბიზნესგარემოს უკეთ გასაცნობად საქართველოში მოიწვია. 2022 წელს ქვეყანაში მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები 3,5 მილიარდ დოლარს აჭარბებს. 2022 წელს აჭარაში უცხოელი და შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 3 მილიონს აღემატება. სრულად არის აღდგენილი ვიზიტები ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

აჭარის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, იმავე დღეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძე სენატორ მენი პაკიაოს

შეხვდა. შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები მიმოიხილეს.

„გამოითქვა არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მზადყოფნა ტურიზმისა და სპორტის მიმართულებით. ფილიპინელი პოლიტიკოსი მენი პაკიაო ყველა დროის საუკეთესო მოკრივედაა მიჩნეული“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

ზაზა შავაძე კლიმატის ცვლილებების საბჭოს სხდომას დაესწრო

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში კლიმატის ცვლილების საბჭოს მეორე სხდომას დაესწრო, რომელსაც მინისტრი ოთარ შამუგია ხელმძღვანელობდა

საბჭომ საქართველოს დაბალემისიიანი გრძელვადიანი განვითარების კონცეფციის დოკუმენტი დაამტკიცა, რომელიც მომზადებულია საქართველოს მთავრობის მიერ, პარიზის შეთანხმების შესაბამისად, როგორც საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი ხედვის ჩარჩო დოკუმენტი და მიზნად ისახავს 2050 წლამდე ქვეყნის დაბალემისიიანი განვითარებისთვის საჭირო ხედვისა და პრინციპების ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ პარიზის 2015 წლის დეკემბრის შეთანხმებამ სათავე დაუდო კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის ახალ ეტაპს, რაც გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის წევრი ქვეყნების მიერ, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას გულისხმობს.

კონცეფცია სრულ თანხვედრაშია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციასთან, პარიზის შეთანხმებასთან, კლიმატის ნაწილში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან, ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. კონცეფცია ასევე ითვალისწინებს სახელმწიფოს ხედვას სათბურის გაზების ეროვნული ემისიების შემცირებისა და შთანთქმის გაძლიერების კუთხით.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კლიმატის ცვლილების საბჭო 2020 წლის 23 იანვარს შეიქმნა, რომელიც საბჭოსგან, საკოორდინაციო და სამუშაო ჯგუფებისგან შედგება.

შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს კლიმატის ცვლილების საბჭოს მანდატი, კლიმატის ფინანსების სამუშაო ჯგუფის ტექნიკური დავალების პროექტი, კლიმატის ტექნოლოგიების საკოორდინაციო ჯგუფის ტექნიკური დავალების პროექტი, კლიმატის ფინანსების სამუშაო და ტექნოლოგიების საკოორდინაციო ჯგუფების შექმნის საკითხი.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

სკოლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - ქობულეთში

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

2023 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 28 საჯარო სკოლაში სხვადასხვა სახის სამუშაოები განხორციელდება. ამჟამად სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს.

დასრულებულია კონსტრუქციის ნაწილი - 3-სართულიანი, 350 მოსწავლეზე გათვლილი შენობა, სპორტული და სააქტო დარბაზებით. სკოლის შენობა იქნება სრულად ადაპტირებული შშმ პირთათვის. მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი პირველ მოადგილე ჯემალ სურმანიძესთან და ქობულეთის მერ ლევან ზოიძესთან ერთად.

ასევე, დაიწყო ქობულეთის №5 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შენობის შიდა კეთილმოწყობა. შენობის ენერგოეფექტურობის გაზრდისა და ნალექისაგან დაცვის მიზნით ფასადი სრულად შეიფუთება საფასადე ფილებით, დამონტაჟდება ადაპტირებული ლიფტი ყველა სართულზე მისაწვდომობისთვის, სრულად კეთილმოეწყობა სკოლის ტერიტორია. სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

მიმდინარეობს ქობულეთის თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის №3 საჯარო სკოლის მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია. აღნიშნულ შენობაში განთავსებულია სპორტული და სააქტო დარბაზები და სასადილო. შენობის ფასადი სრულად შეიფუთა თუნუქის ფილებით მისი ენერგოეფექტურობის გაზრდისა და ნალექისაგან დაცვის მიზნით. ამავე სკოლაში Unicef-თან თანამშრომლობით, მიმდინარეობს სამუშაოები ინკლუზიური ცენტრის მოსაწყობად.

დაიდო ხელშეკრულება და მალე დაიწყება ბუკნარის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. განხორციელდება შენობის მთლიანი შიდა და გარე ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

საგრანტო კონკურსში გაიმარჯვეს

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა და მკვლევრებმა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2022 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გაიმარჯვეს, - ინფორმაციას ბსუ-ის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესორებსა და მკვლევრებს ულოცავს მნიშვნელოვან გამარჯვებას და წარმატებებს უსურვებს.

სამეცნიერო პროექტებს სხვადასხვა მიმართულებით განახორციელებენ პროფესორები: მერაბ ხალვაში, ლელა თავდგირიძე, ასოცირებული პროფესორები: ნუგზარ ზოსიძე, ირაკლი ბარამიძე, მაია ვანიძე, ასისტენტ-პროფესორი გიორგი ქათამაძე, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ნინო მხეიძე და ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მზიური გაბაიძე.

გამარჯვებული სამეცნიერო საგრანტო პროექტებია: „აჭარა-გურიის ციტრუსოვანთა პლანტაციებში გავრცელებული მავნებელ-დაავადებების შესწავლა და პათოგენთა კოლექციის შექმნა“ - პროექტის ხელმძღვანელი ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მზიური გაბაიძე; „მცენარეული ნედლეულისა და გადამუშავების ანარჩენების ვალორიზაციის ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შესუსტების მიზნით ციკლური ეკონომიკის პრინციპების გამოყენებით“ - პროექტის ხელმძღვანელი ბსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მაია ვანიძე; „ეკოლოგიურად სუფთა, უნარჩენო ტექნოლოგიის შემუშავება ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის გაწმენდისათვის“ - პროექტის ხელმძღვანელი აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ნინო მხეიძე; „ზღაპრებიდან ეკონომიკურ ცნობიერებამდე“ - პროექტის ხელმძღვანელი ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი ლელა თავდგირიძე, პროექტის კოორდინატორი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი გიორგი ქათამაძე, „ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული მმართველობა (1878-1921 წწ.)“ - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნუგზარ ზოსიძე, პროექტის კოორდინატორი პროფესორი მერაბ ხალვაში; „პოლონელების დეპორტაცია საქართველოში და პოლონურ-ქართული გეოპოლიტიკური თანამშრომლობა (1830-1921)“ - ბსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ირაკლი ბარამიძე.

თვითმმართველობის საქმიანობას გაეცნენ

თამაზ მზზამრიძე 27 48 94

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, დაბა შუახევის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის მოსწავლეები ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას, იმ პროექტებს გაეცნენ, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა ახალგაზრდული მიმართულებით ახორციელებს

შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ ისაუბრა პროექტების მნიშვნელობაზე და ხაზი გაუსვა ახალგაზრდების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

აჭარის რეგიონში, პროგრამაში, რომლის პარტნიორია „ბათუმის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი“, 72 სკოლაა ჩართული.

პროგრამას ახორციელებს PH International - საქართველო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

შეხვედრას მერიის ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ამირან ხიმშიაშვილი, ბათუმის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის წარმომადგენელი მარიამ ტარიელაძე, მერიის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ქეთი ფუტკარაძე უძღვებოდნენ.

ახალგაზრდების ფსიქიკური კეთილდღეობისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ზრუნვა ახალგაზრდების ფსიქიკურ კეთილდღეობაზე და არსებული სერვისები აჭარის რეგიონში - აღნიშნულ თემაზე ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ორგანიზებით, სასტუმრო „რედისონ ბლუ ბათუმში“ შეხვედრა-დისკუსია გაიმართა, რომელსაც აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრაზე განიხილეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი - „სამოქალაქო საზოგადოება აღდგენისუნარიანობისა და უსაფრთხოებისთვის (CiSSCo)“, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების უსაფრთხოებისა და აღდგენისუნარიანობის ხელშეწყობას ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიისა და საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის. შეხვედრაზე, ასევე, ყურადღება გაამახვილეს ფსიქოაქტიური საშუალებების გამოყენების პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმებისა და ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერების და ასევე, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის თანამედროვე მიდგომებზე.

- აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო პროგრამების პარალელურად, ცდილობს, კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადოს ის სერვისები, რომლებიც რეგიონის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია. სამინისტრო აფინანსებს ბავშვთა ფსიქოსომატურ აბილიტაცია/რეაბილიტაციას, უზრუნველყოფს ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებს საცხოვრისით. მიმდინარე წელს ამოქმედდა ახალი პროგრამა -ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე ბენეფიციარების სტაციონარული მომსახურება. სამინისტრო მზად არის, მხარი დაუჭიროს ყველა ახალ ინიციატივას, რომელიც მორგებული იქნება ჩვენი მოსახლეობის საჭიროებებზე, - აღნიშნა მინისტრის პირველმა მოადგილე მარი ზანაქიძემ.

შეხვედრაზე გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება აღდგენისუნარიანობისა და უსაფრთხოებისთვის“ ორგანიზატორები, პირველ ეტაპზე, აჭარასა და იმერეთში, სამიზნე ჯგუფებში ჩაატარებენ კვლევას, გამოავლენენ მთავარ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომლებზეც შემდგომში ადვოკატირებას განახორციელებენ.

ათასობით ექიმსა და ექთანს... მინიმალურ ზღვარზე დაბალი შემოსავალი?

შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელმა ბექა ფერაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „ბიზნეს პალიტრა“ განაცხადა, რომ ინსპექტირების შედეგად გამოიკვეთა: ექიმის ხელფასი საათში 7 ლარს, ხოლო ექთნის - 4,4 ლარს შეადგენს.

„ჯანდაცვის სამინისტრო არის შრომის სამინისტროც, ამიტომ ადამიანის უფლებების დაცვა, ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა და შრომის ანაზღაურება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. როგორც სამუშაო საათები, ასევე, ზოგადად, ანაზღაურება, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ალბათ, რასაც ჩვენი ცხოვრების განმავლობაში თითოეული ადამიანი აკეთებს. თუმცა, როდესაც ჩვენ პრაქტიკაში ვახორციელებდით ინსპექტირებას, და, ზოგადად, ამ პროცესის ანალიზი კეთდებოდა (ანალიზის გარეშეც ალბათ, ეს ბევრი ადამიანისთვის ცნობილია), განსაკუთრებით სამედიცინო სექტორში, ანუ იმ ადამიანებთან, რომელთა ხელშია ჩვენი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, სამუშაო პირობები და შრომის ანაზღაურება არ იყო ადეკვატური. როდესაც ჩვენ ანალიზი გავაკეთეთ, ეს ეხებოდა დაახლოებით 9 000-მდე ექთანს და 8 000-მდე ექიმს, რომელთაც ჰქონდა მინიმალურ ზღვარზე (რომელიც სამინისტროს მიერ იყო დაწესებული), დაბალი შემოსავალი. ალბათ, საინტერესოა, რა თანხაზე იყო საუბარი, საათში 7 ლარი ექიმისთვის და 4 ლარი და 40 თეთრი ექთნისთვის. როდესაც ამაზე ვმსჯელობდით, ჩვენ ასევე ვმართავდით დისკუსიებს, სადაც კლინიკების დიდ ნაწილში გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენთან ამაზე უფრო მაღალია ანაზღაურება, თუმცა პრაქტიკით ეს ასე არ დადასტურდა. არის რამდენიმე კლინიკა, სადაც მართლაც ყველაზე უფრო მაღალი იყო ანაზღაურება, მაგრამ პრაქტიკაში რიცხვები ალბათ, უფრო მრავლისმეტყველია“,- განაცხადა ბექა ფერაძემ.

ამირან გურიელიძე

რა ბედი ელის „ნაცმოძრაობას“?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველოსთვის უმთავრესი საფრთხე არა მხოლოდ რუსული ფაქტორია, არამედ შიდა დაპირისპირებაც. პოლიტიკოსი ვალდებულია, სამშობლოს ბედ-იღბალზე იფიქროს, ყოველი მისი სიტყვა, მოქმედება წინასწარ მრავალმხრივ გაანალიზებული იყოს, ანუ ზუსტად განსაზღვროს, რა უნდა გაკეთდეს ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისთვის, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის, რათა არ დავბრუნდეთ გასული საუკუნის 90-იანი წლების მორევში

ამ მიმართებით პასუხისმგებლობა როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციასაც ეკისრება. ამჯერად, ოპოზიციაზე ვისაუბრებთ მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე: ოპოზიცია ვალდებულია, აკონტროლოს ხელისუფლება, რომ ეიფორიაში არ გადაეშვას. გასათვალისწინებელია, რომ დროთა განმავლობაში მმართველ პარტიას ოპოზიციური ძალა ანაცვლებს.

ოპოზიცია რომ განვითარებული ქვეყნის ისტორიაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს, საკამათო როდია. თუ საქართველოს 30-წლიან პოლიტიკურ რეალობას სიღრმისეულად ჩავუკვირდებით და გავაანალიზებთ ყოფილი მმართველი პარტიების საქმიანობას, უმნიშვნელოვანეს დასკვნამდე მივალთ: ურთიერთსიძულვილი, შეურაცხყოფა, ცილისწამება, მოღალატის იარლიყი - უდავოდ, თან სდევდა ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, რამაც ჩვენს ქვეყანას მრავალი უბედურება დამართა. შორს რომ არ წავიდეთ, ისტორიის ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს გავიხსენებ. 1991 წლის მიწურულია, ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა ელოდება ბოროტების იმპერიის აღსასრულს და ნანატრ თავისუფალებას. მანამდე საქართველოს და უკრაინის დამოუკიდებლობა რუმინეთმა აღიარა, ეს პროცესი შეუქცევადი გახდა, თანაც უკრაინამ, ბელარუსმა და რუსეთმა დსთ ჩამოაყალიბეს, რაც, ფაქტობრივად, საბჭოეთის დაშლას ნიშნავდა. ამ დროს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, თითქოს გამსახურდიას მთავრობა ანტიდემოკრატიული იყო...

იდეალური ხელისუფლება არ არსებობს, შეცდომები ჰქონდა იმ ხელისუფლებას, ძირითადად, საკადრო პოლიტიკაში, მაგრამ ეს იმის უფლებას არ აძლევდა ოპოზიციას, ხელში იარაღი აეღო. ამ გაუტანლობამ საქართველო დააზარალა. ისტორიის გაკვეთილები უნდა გაანალიზო, რომ სამომავლოდ შეცდომები თავიდან აირიდო. რამდენად გაითვალისწინებენ ქართველი პოლიტიკოსები წინამორბედთა შეცდომებს, მომავალი დაგვანახებს, არსებული რეალობა კი მრავალ კითხვას ბადებს. მაგალითად, რა ხდება ამჟამად „ნაცმოძრაობაში“, ხომ არ მიმდინარეობს ბრძოლა გავლენების მოპოვებისთვის, შეინარჩუნებს თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ ერთიანობას? ეს კითხვები უადგილოდ ნამდვილად არ მოგეჩვენებათ თუნდაც იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობას“ ყოფილი მმართველი პარტიების ბედს უწინასწარმეტყველებენ.

მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ახალ ლიდერად ლევან ხაბეიშვილი აირჩიეს, ექსპერტები პარტიაში შიდა დაპირისპირებას არ გამორიცხავენ. ყოფილი მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ „ნაცმოძრაობამ“ დემოკრატიის ტესტი ჩააბარა, როცა ლიდერი ამომრჩეველთა აქტიური მონაწილეობით აირჩია. ნიკა მელიამ მიულოცა ხაბეიშვილს გამარჯვება, თუმცა დაკვირვებული ადამიანი შენიშნავდა, რომ არ მოელოდა დამარცხებას. მელიას მომხრეებმა რეგიონებში პარტიული თანამდებობები დატოვეს, რაც ბევრ კითხვას ბადებს. ჯერჯერობით „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეობის ყოფილი კანდიდატები და რეგიონული ლიდერები ერთიანობის მნიშვნელობაზე საუბრობენ და მმართველ პარტიას ვარდისფერი სათვალის მოხსნას ურჩევენ... თუმცა ქართულ პოლიტიკაში ყველაფერი მოსულა, დღეს მეგობრობაზე საუბრობენ, ხვალ მტრობას იწყებენ. ბოკერია და გახარია ამის თვალსაჩინო მაგალითებია. ამ მხრივ აღსანიშნავია მნიშვნელოვანი გარემოება. როგორც ამბობენ, მელიას და მერაბიშვილის ჯგუფებს სურთ მომავალი პარლამენტისთვის პარტიული სიის შედგენა. მანამდე მსგავს სიას სააკაშვილი ადგენდა. რეალური დაპირისპირების მიზეზი სწორედ ეს ფაქტორია. საერთოდ, „ნაცმოძრაობას“ მსგავსი პრობლემები 2016 წლის არჩევნების შემდეგაც შეექმნა. მაშინ ბოკერიას გუნდმა დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“ და შექმნა ახალი პარტია - „ევროპული საქართველო“. პარლამენტის დეპუტატი მათი 16 წევრი გახდა, „ნაცმოძრაობიდან“ კი 5. არადა, „ნაცმოძრაობის“ შედეგი იმ არჩევნებში (21 პროცენტი) რეალურად, სააკაშვილის დამსახურება იყო. იმ დროს პარტიამ დასძლია შიდა პრობლემები, გახდა მთავარი ოპოზიციური ძალა. საპრეზიდენტო არჩევნებში მისმა კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ სალომე ზურაბიშვილს ღირსეული პაექრობა გაუწია, დაინიშნა მეორე ტური. ამ უკანასკნელმა მხოლოდ ივანიშვილის აქტიური მხარდაჭერით შეძლო გამარჯვება. გარდა ამისა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობამ“ დაახლოებით 30 პროცენტი მიიღო. კარგია თუ ცუდი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ გაქრა პოლიტიკური ცხოვრებიდან? როგორც ცნობილია, ნაძალადევი არაფერი ვარგა, ხელოვნურად არც პარტიის შექმნა ივარგებს და არც ოპოზიციის, ეს უნდა მოხდეს ბუნებრივად. ყველა მოელოდა, რომ 2012 წლის შემდეგ „ნაცმოძრაობა“ გაქრებოდა პოლიტიკური ასპარეზიდან, მაგრამ ასე არ მოხდა. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ მოსახლეობა სხვა პოლიტიკურ ძალას ჯერჯერობით არასერიოზულად თვლის. ამ მხრივ თავად ხელისუფლებამაც დაუშვა შეცდომა - გამუდმებით „ნაცმოძრაობის“ დემონიზება და სისხლიანი 9 წლის წამოძახება მოსახლეობას მობეზრდა, - ასე ფიქრობს ექსპერტთა ნაწილი.

> *მიმდინარეობს ახალი გადაჯგუფებები ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. ყველა ხვდება, რომ სამომავლოდ „ნაცმოძრაობას“ გაუჭირდება მთავარი ოპოზიციური ძალის იმიჯის შენარჩუნება. ჯერჯერობით, მაინც ორპოლუსიანობაა ქვეყანაში, თუმცა შეიმჩნევა პოლიტიკური სპექტრის გამრავალფეროვნება*

მათი თქმით, ხალხს ის უფრო აინტერესებს, ხელისუფლება როგორ გააუმჯობესებს ეკონომიკურ მდგომარეობას, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების რა შესაძლებლობა გვაქვს და ა. შ. ექსპერტები აცხადებენ, რომ მმართველი პარტია რეალურად არაა დაინტერესებული „ნაცმოძრაობის“ გაქრობით პოლიტიკური ველიდან. ეს პარტია კარგი საშუალებაა არსებული პრობლემების „გადასაგორებლად“, მტრის ხატის გამოსაძერწად...

დავუბრუნდეთ მთავარ კითხვას - რა ბედი ელის „ნაცმოძრაობას“? მიუხედავად იმისა, რომ არსებული ხელისუფლებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ შიდა დაპირისპირება მოულოდნელი არ ყოფილა, ზოგიერთი მაინც გაკვირვებული ჩანდა. ახალმა სახეებმა - ნიკა ობოლაძემ, ნონა მამულაშვილმა პარტია დატოვეს. ვინ დაადგება სამომავლოდ მათ კვალს, ამას უახლოესი მომავალი დაგვანახებს, მანამდე კი მრავლისმთქმელია მმართველი პარტიის უმრავლესობის ლიდერ ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ორ ნაწილად დაიშლება. მართლაც ასე მოხდება თუ სფინქსივით აღდგება ყოფილი მმართველი პარტია? სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს ამაზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ. მაგალითად, ცნობილი ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ მარაზმია ყველაფერი, რაც „ნაცმოძრაობაში“ ხდება და პარტიის ასეთი სახით არსებობა არ შეიძლება. „ლიდერის არჩევა მოხდა ცუდსა და უარესს შორის“, - ამბობს იგი. პარლამენტარი მათიკაშვილი „ნაცმოძრაობას“ ფიასკოს უწინასწარმეტყველებს. „ამ პარტიას მომავალი არ აქვს“. თავის მხრივ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიგა ბარამიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არაფერი საგანგაშო პარტიაში არ მოხდა, პირიქით, პარტია ძლიერდება, ავირჩიეთ ახალი ლიდერი, რაც ახალი გამარჯვების საწინდარი იქნება...

ვიდრე „ნაციონალურ მოძრაობაში“ ლიდერის არჩევას ზეიმობენ, პოლიტიკურ ველზე საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. ამასწინათ განაცხადი გაკეთდა ახალი ეროვნული მოძრაობის შექმნის თაობაზე, სადაც გაერთიანდებიან სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მათ 24 თებერვალს მიტინგი დააანონსეს უკრაინის მხარდასაჭერად. როგორც ჩანს, მიმდინარეობს ახალი გადაჯგუფებები ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. ყველა ხვდება, რომ სამომავლოდ „ნაცმოძრაობას“ გაუჭირდება მთავარი ოპოზიციური ძალის იმიჯის შენარჩუნება. ჯერჯერობით, მაინც ორპოლუსიანობაა ქვეყანაში, თუმცა შეიმჩნევა პოლიტიკური სპექტრის გამრავალფეროვნება. დაახლოებით ოთხი პოლიტიკური ძალა აქტიურობს, მაგრამ რიგ ქალაქებში ისევ ორ პოლუსზეა დასული პოლიტიკური რეალობა, საკრებულოები, ძირითადად, მმართველი პარტიით და „ნაცმოძრაობითაა“ დაკომპლექტებული. ძალიან მცირე, ორი-სამი სადეპუტატო მანდატი გახარიას პარტიას და „ლელოს“ შეხვდა. ეს, ცხადია, არ ქმნის ისეთ ჯანსაღ, დემოკრატიულ კლიმატს, როგორიც უნდა არსებობდეს. ამ მიმართებით ისმის კითხვა: არსებობს თუ არა იმის შანსი, რომ სამომავლოდ მესამე რეალური ძალა ჩამოყალიბდეს? ექსპერტთა თქმით, უახლოეს მომავალში ანუ საპარლამენტო არჩევნებამდე ასეთი შეუძლებელია. სანამ თითოეული ოპოზიციონერი ლიდერი ვერ მიხვდება, რომ აუცილებელია პარტიებს შორის შეთანხმება, სხვა ლიდერებთან გარკვეული საკითხების შეჯერება, ღირებულებების, იდეოლოგიების თანხვედრა, მანამდე ეს სიტუაცია არ გამოსწორდება. ამ მხრივ ძალიან დამაფიქრებელია ექსპერტ ლელა ჯეჯელავას შეხედულება: „საქართველოში მოულოდნელად შეიძლება ისეთი რაღაცები მოხდეს, რასაც ვერც ოპოზიცია წარმოიდგენს და ვერც ხელისუფლება“.

მართალაც ძნელია იმის პროგნოზირება, რა მოხდება ჩვენს ქვეყანაში. პოლიტიკოსები არა მხოლოდ შეხედულებებს იცვლიან წარამარა, არამედ შავს თეთრად ასაღებენ, თუმცა ერთი რამ ცხადია, პოლიტიკური ფიგურების და საერთოდ, ოპოზიციის შეუმცდარი საზომი თავად მათი წარსულია, წარსული, რომელმაც ჩვენ თვალწინ გაიარა და თვალნათლივ დაგვანახა, რომელი პარტია რისი მაქნისია. იმედია, ოპოზიციაც და მმართველი პარტიაც დასავლეთის გამოცდილებას გაიაზრებენ და მნიშვნელოვან საკითხებს ქვეყნის საკეთილდღეოდ გადაწყვეტენ.

უცხოეთი

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა და იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ფუმიო კიშიდამ განაცხადეს, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრამ და ჩინეთთან მზარდმა სამხედრო თანამშრომლობამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უსაფრთხოების ყველაზე დაძაბული ფონი შექმნა. იენს სტოლტენბერგის თქმით, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის ფონზე ნატომ და იაპონიამ ურთიერთობები უნდა გააღრმაონ. „თუ პრეზიდენტი პუტინი გაიმარჯვებს უკრაინაში, ეს იქნება ტრაგედია უკრაინელებისთვის და, ასევე, ძალიან სახიფათო გზავნილს გაუგზავნის ავტორიტარულ ლიდერებს მთელ მსოფლიოში, რადგან გზავნილი იქნება, რომ მათ შეუძლიათ მიაღწიონ თავიანთ მიზნებს, თუ გამოიყენებენ სამხედრო ძალას. ამიტომ, უკრაინის ომი ყველას გვეხება“, - აღნიშნა სტოლტენბერგმა.

* * *

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მორიგი რაუნდის გამართვა გადაიდო - ინფორმაციას ამის შესახებ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ტოივო კლაარი ავრცელებს. „ჩვენ მოგვიწია ჟენევის დისკუსიების მორიგი რაუნდის გადადება, თუმცა ჩართულობისთვის მზად ვართ“, - წერს კლაარი „ტვიტერზე“. ამავდროულად, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეების განცხადებაში აღნიშნულია, რომ დისკუსიების მორიგი რაუნდი, რომელიც 2023 წლის თებერვლის ბოლოს უნდა გამართულიყო, აპრილში გაიმართება.

* * *

ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით, მზად არის რუსეთსა და უკრაინას შორის შუამავლის როლის შესრულება განიხილოს, თუ ამას ორივე ქვეყანა და შეერთებული შტატები სთხოვენ. ნეთანიაჰუს მტკიცებით, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარების მიზნით შუამავლობა მას გასული წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ სთხოვეს, მაგრამ უარი განაცხადა, რადგან იმ დროს ისრაელის ოპოზიციის ლიდერი იყო და არა პრემიერ-მინისტრი. ამასთან, ნეთანიაჰუმ არ დააკონკრეტა, ვინ სთხოვა შუამავლის როლის შესრულება, მაგრამ აღნიშნა, რომ ეს თხოვნა „არაოფიციალური“ იყო.

* * *

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გააფრთხილეს ბრიუსელი, რომ მან არ მისცეს უკრაინას არარეალისტური იმედები ევროკავშირში სწრაფი გაწევრიანების კუთხით იმ ფონზე, რომ მიმდინარე კვირაში ზელენსკი ურსულა ფონ დერ ლაიენსა და შარლ მიშელს შეხვდება, - ამის შესახებ „ფაინენშელ თაიმსი“ წერს. გამოცემის თანახმად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მაღალჩინოსანი დიპლომატები ფიქრობენ, რომ უკრაინის მიუღწეველ მოლოდინებს, მათ შორის 2026 წლისთვის ევროკავშირში გაწევრიანებას, ბრიუსელში მყოფი მაღალჩინოსნები ასხამენ ფრთებს, დაპირებებსა და რეალობას შორის კი შუალედი სულ უფრო იზრდება. ცნობისთვის: მიმდინარე კვირაში უკრაინა-ევროკავშირის სამიტია დაგეგმილი, რომლისგანაც ქვეყნის პრეზიდენტი მნიშვნელოვან სიახლეებს ელის.

მოამზადა
ია შველიძემ

გაზრდილი ბიუჯეტი, ახალი გეგმები და პრიორიტეტები

ჩვენი სტუმარია შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე.

- ბატონო ომარ, 2023 წელი 19,1-მილიონიანი ბიუჯეტით დაიწყეთ, რაც პრეცედენტია შუახევის ისტორიაში. რა ფაქტორებმა განაპირობა ბიუჯეტის ასეთი ზრდა?

- ქვეყანა ვითარდება, ეკონომიკა ორნიშნა ციფრით გაიზარდა, რაც ბუნებრივია, აისახა შუახევის მუნიციპალიტეტზეც. 2023 წლის საწყისი ბიუჯეტი გასული წლის საწყის ბიუჯეტთან შედარებით, 4 100 000 ლარით გაიზარდა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდა განაპირობა კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერების, ადგილობრივი შემოსავლების გაზრდამ. მნიშვნელოვანია, რომ აჭარის მთავრობის ძალისხმევით, საქართველოს მთავრობამ შეგვიცვალა დამატებითი ღირებულების გადასახადის კოეფიციენტი, რომელიც თითქმის 10-ჯერაა გაზრდილი.

- რა პროგრამებსა და პრიორიტეტებს მოხმარდება ბიუჯეტში მობილიზებული თანხები?

- წელს გვაქვს ერთ-ერთი სრულყოფილი, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული ბიუჯეტი. ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე 7 მილიონ ლარამდე დაიხარჯება, განათლების, კულტურის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული მიმართულებით - 180 ათას ლარზე მეტი, ხოლო 2 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების დაფინანსებას. დაგეგმილია არაერთი მნიშვნელოვანი, მოსახლეობაზე ორიენტირებული პროგრამისა თუ პროექტის განხორციელება.

- „შუახევიჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, მრავალი სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული პროექტი განხორციელდა. წელს რა მოლოდინი გაქვთ?

- „შუახევიჰესი“ არის ერთ-ერთი გამორჩეული პროექტი ჩვენს ქვეყანაში ენერგეტიკული სექტორისთვის. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის სარგებელი, რომელიც პროექტმა მოუტანა შუახევის მუნიციპალიტეტს. „შუახევიჰესთან“ ერთად არაერთ სოციალურ პროექტს ვახორციელებთ. შარშან, სოციალური პროექტების ფარგლებში, 60 ათასი ლარი დაიხარჯა. 2023 წელს კი კომპანია 60 ათას ლარზე მეტს გაიღებს სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად. მათგან უმთავრესი განათლების ხელშეწყობაა.

- უკვე იდეის დონეზე აღარაა მთა ჩირუხისა და სხვა მაღალი ზონის (მთების) ტურისტული პოტენციალის ათვისება...

- ტურიზმი ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მისი განვითარებისთვის შუახევის მუნიციპალიტეტი, აჭარის მთავრობასთან ერთად, არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ახორციელებს. ვითარდება საგზაო ინფრასტრუქტურა, ეწყობა საკემპინგე და საპიკნიკე ლოკაციები, ხელს ვუწყობთ საოჯახო სასტუმროების განვითარებას, ვაწყობთ რეკრეაციულ ზონებს. აჭარის კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში მიმდინარეობს მთა ჩირუხის ცენტრის კეთილმოწყობა, დაგეგმილია თაგინურის ცენტრის კეთილმოწყობა. მთა ღომაზე შენდება თანამედროვე სპორტული მოედანი. ამავე მთაში ელექტროგაყვანილობა მოწესრიგდა. მთა ჩირუხში ორხაზოვანი ზიპლაინის მშენებლობა რეალობაა, რისთვისაც აჭარის ბიუჯეტიდან 6 მილიონ ლარზე მეტია მობილიზებული. ზიპლაინის მინიმალური სიგრძე 1 752 მეტრი უნდა იყოს. პროექტის მიზანია ჩირუხის, როგორც ტურისტული დანიშნულების ტერიტორიის

პოპულარიზაცია, სამთო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივების დასაქმება. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა ჩირუხში უკვე მოაწყო მეორე თანამედროვე საპიკნიკე ზონა. ავთენტური და ეკოლოგიური მასალებით დამზადებული საპიკნიკე ჩირუხის ალპურ ტურისტულ მარშრუტზეა განთავსებული, რომელიც საშუალებას აძლევს მოგზაურებს, ღია სივრცეში, ავთენტურ გარემოში განიტვირთონ, დაისვენონ და ულამაზესი პანორამული ხედებით დატკბნენ. ზღვის დონიდან 2148 მ სიმაღლეზე განთავსებული ინფრასტრუქტურა თავისი ჰამაკებით, საქანელებითა და ფანჩატურით საზაფხულო იალაღებზე ტურისტებისთვის რეკრეაციული გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს. ერთ-ერთი მთავარი ტურისტული ლოკაცია არის ჯვარიმინდორიც, რომლის ტურისტული თავშესაფარი ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. აქ ვიზიტიორებს დახვდებათ ოთხი კოტეჯი, თითოეულში 2-3 ადამიანი განთავსდება. იქვეა საცეცხლური, კოცონის ზონა, საშხაპე და სველი წერტილი. თავშესაფრის გვერდით მოწყობი-ლია საპიკნიკე ინფრასტრუქტურა, დიდი და პატარა საქანელებით, კოცონის ზონით, ფანჩატურით. ჯვარიმინდორი ტბა ტბიყელზე ტურისტული ეკო-სათავგადასავლო მარშრუტის (კინტრიშის ეროვნული პარკი, გომისმთა, ჯვარიმინდორი) მნიშვნელოვანი ნაწილია. ჯვარიმინდვრის გზაგასაყარიდან დასავლეთით, შეგიძლიათ წახვიდეთ სოფელ ცხემლისისკენ. ბილიკი მიუყვება ქედს ალპურ ზონაში, ხოლო ჩრდილოეთით, მაღალი გამავლობის ავტომობილისთვის განკუთვნილი გზა მიდის კურორტ გომისმთისკენ, სადაც ველოსიპედით და ცხენითაც შესაძლებელია გადაადგილება. ტურიზმის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი მუნიციპალიტეტისადმი ინტერესი, რაც დასტურდება ვიზიტიორთა რაოდენობის ზრდით.

- აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელად თქვენი არჩევის შემდეგ, მრავალი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს, რა კეთდება დროულად დასრულებისათვის?

- შუახევში ახალი, 500 მაყურებელზე გათვლილი საფეხბურთო სტადიონი გავხსენით. ფიფას სტანდარტების საფეხბურთო მოედნის მშენებლობა გასული წლის აპრილში დაიწყო და წლის ბოლოს დასრულდა. პროექტის ფარგლებში, სტადიონზე მოეწყო ხელოვნური საფარი, აშენდა ადმინისტრაციული შენობა და გასახდელები. სამუშაოებს შპს „გლობალსტანდარტმშენი“ ასრულებდა. ეს პროექტი თვალსაჩინო მაგალითია იმ მხარდაჭერისა, რომელსაც აჭარის მთავრობა უწევს შუახევის მუნიციპალიტეტს. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის შუახევის 9-კილომეტრიანი მონაკვეთი ერთ-ერთი ყველაზე რთულია. გორხანაულის, კლდისუბნის, ჩანჩხალოს კლდოვან ტერიტორიებზე სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა დიდი დრო და მასშტაბური სამუშაოები მოითხოვა. ამას დაემატა გამარჯვებული კომპანიის გაკოტრება. სათანადო რეგულაციების დაცვით, უკვე გაზრდილი თანხით, სამუშაოები გაგრძელდა, რომელსაც შპს „გზები“ ასრულებს. შედეგი თვალსაჩინოა და არის ყველა პირობა იმისათვის, რომ ეს მნიშვნელოვანი პროექტი წელს დასრულდეს. აქტიურად მიმდინარეობს სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა. პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ყველა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას. წელს უჩამბის ადმინისტრაციული ცენტრის კეთილმოწყობას ვგეგმავთ, პროექტის ღირებულება 600 ათას ლარზე მეტია. წელსვე მოეწყობა ნიგაზეულის, ხოლო დასრულდება ახალდაბის, წაბლანის, დარჩიძეებისა და ჯაბნიძეების ცენტრების კეთილმოწყობა.

- რატომ გაჭიანურდა დაბა შუახევის საჯარო სკოლის შენობის საექსპლუატაციოდ გადაცემა და სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით წელს რა ღონისძიებები გატარდება?

- შუახევის საჯარო სკოლის მშენებლობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება. მისი დროულად დასრულება ვერ მოხერხდა შემსრულებელი კომპანიის არასწორი მენეჯმენტის გამო. ამ ეტაპზე სამუშაოები განახლებულია. სკოლაში შეიტანენ ახალ ინვენტარს, ყველა კლასი აღიჭურვება კომპიუტერებითა და პროექტორით, მუსიკალური ინსტრუმენტებით. შუახევისა და შუბნის საჯარო სკოლებში თანამედროვე ბიბლიოთეკები გვექნება. 27 სკოლაში შეტანილია მხატვრული ლიტერატურა. ერთ სკოლაში შევიტანთ კომპიუტერულ ტექნიკას. სპორტულ ინვენტარს მიიღებს ორი საჯარო სკოლა. დასრულდება გოგინაურის, ბარათაულის, შუბნის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, ჩანჩხალოს საჯარო სკოლის შენობას შეეცვლება სახურავი, დასრულდება ხიჭაურის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა.

- დროში გაიწელა დაბა შუახევისა და 16 სოფლის სასმელი წყლით მომარაგებისთვის გერმანიის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების უშუალოდ საქმისთვის განკარგვა. „აჭარისწყლის ალიანსი“ სამუშაოებს როდის დაიწყებს?

- სააქციო საზოგადოება „აჭარისწყლის ალიანსის“ პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, ხუთივე მუნიციპალიტეტში დაფუძნდეს შპს-ები, მათ შორის, შუახევშიც, რომლის წილის მფლობელიც იქნება „აჭარისწყლის ალიანსი“. უახლოეს პერიოდში დასრულდება პროცედურები და შპს მუშაობას დაიწყებს. პროექტის ფარგლებში დაიწყება დაბის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვნად შეიცვლება და გაუმჯობესდება. შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის (გომარდული, სხეფი, სხეფელა, ღორეეთი, თერნალი, ვარჯანაული, წანკალაური, ჭალა, წყაროთა, ბრილი, ზემოხევი, ბარათაული, კვიახიძეები, გოგაძეები, ტბეთი და ჟანივრი) ცენტრალიზებული წყალმომარაგებისა და დეცენტრალიზებული ტიპის წყალარინების (სეპტიკური ავზები) სისტემების შექმნაა დაგეგმილი. აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტში თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნისთვის დაიხარჯება 7 536 105 ევრო. პროგრამის სრული ბიუჯეტი 59,5 მილიონ ევროს შეადგენს. მალე შემოიყვანენ სპეცტექნიკას.

- ადრინდელი სახე და დანიშნულება დაიბრუნა სახალხო დღესასწაულებმა, სხვა ღონისძიებებმა. ამ მიმართებით კიდევ რა ჩანაფიქრი გაქვთ?

- ტრადიციული სახალხო დღესასწაულები ჩვენი ისტორიული ადათ-წესების წარმოჩენას ემსახურება. ბოლო პერიოდში მაქსიმალურად ვცდილობთ მრავალფეროვანი ელემენტები შევიტანოთ ღონისძიებებში. შარშან „შუამთობა“, „შუახევობა“, „მარეთობა“, „კუნტიჯვრობა“, „ჯვარიმინდორობა“ „დარჩიძეებობა“ ვიზეიმეთ. ჩემი ინიციატივით „ნაღვარევობა“ წამოვიწყეთ, იგი „ლელთობამ“ ჩაანაცვლა. ჩვენგან ყველა ახალ წამოწყებას, სიახლეს სრული მხარდაჭერა ექნება. მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ-რუდუნებითი დარბაზის პროექტი „წუთისოფელი ასეა“, საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“, რომლებიც მუნიციპალიტეტის კულტურულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

- შუახევისთვის უცხო აღარაა რიგი ქვეყნების, საერთაშორისო დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების თანადგომა...

- აქტიურად ვთანამშრომლობთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან, რაც შუახველთათვის საკეთილდღეო და შედეგზე ორიენტირებული აღმოჩნდა, იაპონიის საელჩოს საგრანტო კონკურსის ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ მოიპოვა 68 500 აშშ დოლარი, რაც ითვალისწინებს სანდასუფთავების სერვისების გაუმჯობესებას. პროექტის ბიუჯეტით ნაგავმზიდი ავტომობილი და ნაგვის კონტეინერები შევიძინეთ. ვთანამშრომლობთ აჭარის რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელმაც შუახევის მერიის სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდებისა და ქალების გაძლიერების მიმართულებით, არაერთი საინფორმაციო-სასწავლო შეხვედრა გამართა. შარშან გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) გამოთქვა მზაობა პროგრამის „მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით“ ბიუჯეტი გაეორმაგებინა, რითაც 10-ზე მეტმა ქალმა შეძლო ადგილზე მცირე ბიზნესი დაეწყო.

- რა პრევენციულ ღონისძიებებს ატარებთ ზვავების, მეწყერების შესაჩერებლად?

- სტიქიით გამოწვეული ზიანის მაქსიმალურად შემცირებას და ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. ერთი წლის განმავლობაში, ჩვენ მიერ გაგზავნილი შესაბამისი წერილების საფუძველზე, გეოლოგებმა მარტო შუახევში 600-მდე ოჯახი შეისწავლეს, საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა - 17 ოჯახი. 2022 წლის იანვრიდან, სტიქიით გამოწვეული ზიანის გამო, წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერიამ ქირით საიმედო ადგილებზე გაიყვანა სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახები. წლის განმავლობაში, ქირის სახით ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მერის სარეზერვო ფონდიდან გაცემულია 50 000 ლარამდე ფინანსური დახმარება. მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2022 წელს გაიხარჯა 85 685 ლარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების, ოპერაციული მკურნალობისა და მედიკამენტების დასაფინანსებლად.

სამინისტროს 2023 წლის პროგრამებში სიახლეებია

ქედის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგია. ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება მევენახეობის განვითარებას ეთმობა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანადაფინანსების პროგრამით უკვე რამდენიმე ფერმერმა ისარგებლა

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა წელს დაგეგმილი პროგრამები და სიახლეები ქედის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს გააცნო. როგორც ზაზა შავაძემ აღნიშნა, პროგრამები ორიენტირებულია თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, მემცენარეობის და მეცხოველეობის ჯიშთგანახლებაზე, მაღალეფექტური მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების განვითარების ხელშეწყობაზე. ასევე, შესაძლებელი იქნება გაიზარდოს ადგილობრივი პროდუქციის წარმოება.

სამინისტრო 2023 წელს განახორციელებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც მოიცავს ორ ღონისძიებას, სოფლად მეწარმეობის განვითარების და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობას, რისთვისაც გამოყოფილია 4 904 500 ლარი.

წელს პრიორიტეტულია აგროსერვისის განვითარება რეგიონში, რომლის დაფინანსება შეადგენს 4 436 128 ლარს. განახლდა მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის, სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოების, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობის პროგრამები.

2023 წელს გაგრძელდება აგრარული ექსტენციის მიწოდება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიმართულებით, ფერმერებსა და აგრომეწარმეებს საველე პირობებში გაეწევათ სწავლება-კონსულტირება, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 199 600 ლარით. პროგრამის ფარგლებში უფასოდ დამუშავდება სახნავ-სათესი ფართობები, რომლის დაფინანსებისთვის სამინისტრო დახარჯავს 1 505 510 ლარს.

პროგრამების მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა ანზორ ბოლქვაძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ, ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

უხელმძღვანელებს თუ არა ლევან ანთაძე „ენმ“-ის ბათუმის ორგანიზაციას?

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

მას შემდეგ, რაც პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი გახდა, ენმ-ის ბათუმის ორგანიზაციას გიორგი კირთაძე აღარ ხელმძღვანელობს. პოლიტიკოსი არჩევნებამდე აცხადებდა, რომ თუ შიდაპარტიულ არჩევნებში ნიკა მელია დამარცხდებოდა, იგი თანამდებობას დატოვებდა, თუმცა პარტიაში დარჩებოდა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის ბრძოლას თავის გუნდთან ერთად გააგრძელებდა. ლევან ხაბეიშვილის მხარდამჭერები, ჯერ კიდევ შიდაპარტიულ არჩევნებამდე, ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელად ლევან ანთაძეს მოიაზრებდნენ. აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, ამ მოსაზრებას ჩვენთან საუბარში არც ადასტურებს და არც უარყოფს. **ლევან ანთაძე** ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გაზეთ „აჭარასთან“ საუბრობს.

- ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ ჯერჯერობით საუბარი არ გვქონია, თუმცა არ გამოვრიცხავ ჩემი კანდიდატურის განხილვას. მე ვიყავი ლევან ხაბეიშვილის მხარდამჭერთა სიაში, ამდენად, მაქვს იმედი იმის, რომ ყველაფერი, რაც არ მომწონდა პარტიაში, გამოსწორდება. ვგულისხმობ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს. არც არასოდეს დამიდებ. ვგულისხმობ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს. არც არასოდეს დამალავს ჩემი პოზიცია. ის, რაც პარტიაში არ მომწონდა - ეს იყო სრული უმოქმედობა, რაც ბოლო პერიოდში თვალშისაცემი გახდა. ასევე, ხარვეზები ორგანიზაციულ საკითხებში ნიკა მელიას მმართველობის დროს.

- რამდენ ხანში დაიწყება იმ გეგმის ამოქმედება, რომელიც არჩევნებამდე ლევან ხაბეიშვილმა წარმოადგინა?

- თუ პროცესებს თვალს ადევნებდით, ნახავდით, რომ არჩევნებამდე ლევან ხაბეიშვილმა თორმეტპუნქტიანი გეგმა წარმოადგინა, ამ გეგმის მიხედვით, პირველ ას დღეში უნდა მოხდეს გარკვეული მოქმედება.

- იყო საუბარი იმაზე, რომ შიდაპარტიული არჩევნები პარტიას კიდევ უფრო გააძლიერებდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ბოლო პერიოდში პარტიაში ურთიერთდაპირისპირებამ ხალხში ენმ-ის მიმართ უნდობლობა განაპირობა?

- უპირველესად, ეს იყო დემოკრატიის მაგალითი, თუ როგორ უნდა ჩატარდეს არჩევნები პარტიის შიგნითაც. თუმცა იყო ხარვეზებიც, რა თქმა უნდა, წინასაარჩევნო პერიოდში, მეც ვფიქრობ, რომ ბევრი ტალახის სროლა იყო „ნაციონალურ მოძრაობაში“. ამ პარტიაში ადამიანი იმისთვის არაა, რომ თანამდებობას მიაღწიოს, აქ მთავარი ჩვენი ქვეყანაა. ბრძოლა უნდა იყოს ქვეყნისთვის, საერთო ჯამში, ეს ცვლილება პარტიას გააძლიერებს, უფრო შეკრავს და პარტიის თავმჯდომარესაც ბევრ პასუხისმგებლობას დააკისრებს. ადამიანი, რომელსაც ირჩევს ხალხი, ვალდებულია სწორედ ამ ხალხის წინაშე პასუხისმგებელი უნდა გახდეს ყველა დაპირებაზე, რაც მანამდე იყო ნათქვამი. ვგულისხმობ ზემოაღნიშნული გეგმის შესრულებას, ასევე, მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენას, რაც უმნიშვნელოვანესი საკითხია. არ შეიძლება არ აღვნიშნო ნიკა მელიას გამოსვლა და მილოცვა, მუმლაძის გამოსვლა და მილოცვა ლევან ხაბეიშვილის გამარჯვების შემდეგ. ეს ერთ-ერთი მაგალითია დემოკრატიის.

- თქვენი ოპონენტები „ქართული ოცნებიდან“ მიიჩნევენ, რომ ჯანსაღი პოლიტიკისთვის საჭიროა, „ნაციონალური მოძრაობა“ გაქრეს პოლიტიკური ველიდან და ასპარეზი სხვა ოპოზიციურ პარტიებს დაეთმოს. ამბობენ, რომ ხშირ შემთხვევაში, ჯანსაღი ოპონირების საშუალებას სწორედ თქვენი პარტია არ იძლევა. რას ფიქრობთ ამაზე?

- ეს მხოლოდ მათი სურვილია. „ქართული ოცნება“ თავის მთავარ მოწინააღმდეგეს ებრძვის, ამ შემთხვევაში, ესაა „ნაციონალური მოძრაობა“. რაც შეეხება სხვა პარტიებზე „წუხილს“, „ქართულმა ოცნებამ“ კარგად აჩვენა, რა რეაქციები აქვთ განსხვავებული აზრის მიმართ. პარტიის შიგნით წარმოქმნილი პარტიის (გახარიას პარტიას გულისხმობს ფ.დ.) მიმართ დამოკიდებულებაშიც კარგად ვხედავთ, რომ ეს არის ხელისუფლება, რომელიც ვერ იტანს განსხვავებულ აზრს, როგორიც არ უნდა იყოს ის. ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეზე თუ ვფიქრობთ, ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. სხვა პარტიების გაძლიერება, რა თქმა უნდა, არ უნდა მოხდეს „ნაციონალური მოძრაობის“ დასუსტების ხარჯზე, არამედ მათ თავიანთი ქმედებები უნდა წარმოაჩინონ და გაძლიერდნენ. ამაში ხელს არავის შევუშლით, პირიქით, ხელს შევუწყობთ და მივესალმებით.

როდის შეიცვლის ბათუმის ზოოპარკი მისამართს?

ხატია იაშვილი 555 18 48 88

2018 წლის 11 აპრილს, ბათუმის საკრებულომ რიგგარეშე სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ბათუმის ზოოპარკი ჩაქვის ტერიტორიაზე უნდა გადასულიყო და ბოტანიკურ ბაღს დაქვემდებარებოდა. გადაწყვეტილება კვლავ ძალაშია, ზოოკუთხე კი 5 წლის შემდეგაც, ისევ ნურის ტბის მოპირდაპირედაა განთავსებული.

ბათუმის მერიაში გაჭიანურებულ პროცესს პანდემიას უკავშირებდნენ და ამბობდნენ, რომ კორონავირუსის გავრცელების გამო, უცხოელი სპეციალისტების ქალაქში ჩამოსვლა ვერ ხერხდებოდა, მწვანე კონცხის მიმდებარე ტერიტორიაზე კი ცხოველებისთვის საჭირო პირობები, პანდემიის დასრულების შემდეგ მოეწყობოდა. მათივე ინფორმაციით, ბათუმის ცენტრალურ პარკში, ზოოკუთხის ტერიტორიაზე, სარეკრეაციო ზოლი გაშენდება.

*რა ბედი ეწევა ბათუმის ზოოკუთხეს და როდის შეიცვლის მისამართს, ამ და სხვა კითხვით ბოტანიკური ბაღის დირექტორს **ირაკლი არჩაია** მივმართე, რომელიც მოკლე პასუხებით შემოიფარგლა.*

- ბატონო ირაკლი, საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქში მდებარე ზოოკუთხე უნდა გადმოსულიყო ბოტანიკურ ბაღთან ახლოს, რისთვისაც ჩაქვის მხრიდან გამოიყო 173338კვმ მიწის ფართობი. დღემდე ზოოკუთხე ისევ ბათუმშია. თუ დაიწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა?

- ამ ეტაპზე, ინფრასტრუქტურის მოწყობა არ მიმდინარეობს.

- რა ხარჯებთან და სირთულესთან გვაქვს საქმე და რამდენი და რა სახის ცხოველის ან ფრინველის განთავსებაა შესაძლებელი გამოყოფილი მიწის ფართობზე?

- მას შემდეგ, რაც, დაზუსტდება, თუ რა ტიპის ზოოლოგიური სივრცე უნდა შეიქმნას, შესაბამისად, მომზადდება კონცეფცია, ამის შემდეგ განისაზღვრება, რომელი სახეობის ფრინველზე და ცხოველზე გაკეთდეს აქცენტი.

- არსებული ინფორმაციით, საქართველოში არ მოიძებნება ზოოპარკის მშენებლობის დამპროექტებელი, რაც განაპირობებს უცხოელი სპეციალისტების ჩართვის აუცილებლობას. ეს ხომ არ გახდა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის ხელისშემშლელი ფაქტორი?

- ვფიქრობთ, რომ უმჯობესია, პროექტირებაზე იმუშაონ გამოცდილმა უცხოელმა სპეციალისტებმა.

- თუ ვიხილავთ უახლოეს წლებში ბათუმის ზოოკუთხეს ბოტანიკურ ბაღში?

- მომავალი წლიდან იგეგმება აქტიური კონსულტაციების დაწყება ევროპის გამორჩეულ ზოოპარკებთან, რათა მსგავსი ჩვენთანაც შეიქმნას.

გაზეთ „აჭარის“ მკითხველს შევახსენებთ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მდებარე ზოოკუთხეს უჭირავს 16000,00 კვმ-მდე მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 2070 კვმ 18 შენობა-ნაგებობით. სპეციალისტების თქმით, ზოოკუთხე საჭიროებს შემდგომ განვითარებასა და გაფართოებას, რისი პერსპექტივაც თავისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მას არ გააჩნია - ერთი მხრიდან ესაზღვრება საცხოვრებელი კორპუსები და კერძო სახლები, მეორე მხრიდან - ტბა. შესაბამისად, დგება ბათუმის ზოოკუთხის სხვა ტერიტორიაზე გადატანის, ახალი ზოოპარკის მშენებლობის, შესაბამისი საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების საკითხი.

ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის შეირჩა ჩაქვის მხრიდან, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მომიჯნავედ მდებარე ტერიტორია, რომლის ფართობი სულ შეადგენს 173338 კვმ-ს. ეს ტერიტორია იძლევა ზოოპარკის გაფართოების, ბინადართა შემატების, მათი ყოფითი პირობების გაუმჯობესების საშუალებას, ამასთან, ჩართული იქნება ბაღის დამთვალიერებელთა მარშრუტში ერთიანი სერვისის მიწოდებით.

ზოოპარკის დამპროექტებელი უცხოელი სპეციალისტების ჩართვაში მუნიციპალიტეტს დახმარებას გაუწევს ფონდი „ქართუ“.

უკრაინა

უკრაინის თავდაცვის ძალებმა 2022 წლის 24 თებერვლიდან ამ დრომდე, დაახლოებით, 128 420 რუსი ოკუპანტის ლიკვიდაცია მოახდინა, მათ შორის 920 ჯარისკაცი მხოლოდ ბოლო დღეს. ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განცხადებაშია ნათქვამი. გარდა ამისა, უკრაინელმა სამხედროებმა გაანადგურეს მტრის 3209 ტანკი (+8), 6382 ჯავშანტექნიკა (+4), 2207 საარტილერიო სისტემა (+10), 458 MLRS, 221 საჰაერო თავდაცვის სისტემა, 293 თვითმფრინავი, 284 შვეულმფრენი, 1951 უპილოტო საფრენი აპარატი, 796 საკრუიზო რაკეტა, 18 გემი/ნავი, 5061 მანქანა და საწვავის სატვირთო მანქანა (+13) და 200 ცალი სპეცტექნიკა.

* * *

ვასრულებთ მზადებას ამ კვირაში დაგეგმილი უკრაინა-ევროკავშირის სამიტისთვის. ზოგადად, ეს კვირა იქნება ევროინტეგრაციის კვირა ამ სიტყვის სრული გაგებით, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. „ველოდებით სიახლეებს უკრაინისთვის. ჩვენ ველოდებით ევროკავშირში ჩვენი პარტნიორებისგან გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეესაბამება ჩვენს ინსტიტუტებსა და ევროკავშირს შორის მიღწეულ თანამშრომლობის დონეს, ისევე როგორც ჩვენს პროგრესს. პროგრესს, რაც აშკარაა სრულმასშტაბიანი ომის მიუხედავად“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, უკრაინა ახალ რეფორმებს ამზადებს, რომლებიც მრავალმხრივ შეცვლის სოციალურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ რეალობას და გახდის მას უფრო გამჭვირვალესა და ეფექტურს.

* * *

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელის კირილ ბუდანოვის განცხადებით, ამჟამად უკრაინაში დაახლოებით, 326 000 რუსი ჯარისკაცი იბრძვის. ბუდანოვის მტკიცებით, რუსეთში შორ მანძილზე მოქმედი „კალიბრის“ ტიპის რაკეტების რეზერვების მხოლოდ 9%-ია დარჩენილი. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ პუტინი დაავადებულია განუკურნებელი სენით და ჰყავს ბევრი ორეული.

* * *

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ისრაელის ხელისუფლებასთან უკრაინისთვის არა მხოლოდ ჰუმანიტარული, არამედ სამხედრო დახმარების მიწოდებაც განიხილა. ამის შესახებ ბლინკენმა იერუსალიმში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ისრაელში ვიზიტის დროს ბლინკენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს, პრეზიდენტ იცხაკ ჰერცოგს, საგარეო საქმეთა მინისტრ ელი კოენსა და ოპოზიციის ლიდერ იაირ ლაპიდს შეხვდა. მათთან საუბარში მან უკრაინის დახმარების მნიშვნელობის საკითხიც წამოაყენა. „რუსეთის მხრიდან მიმდინარე სისასტიკე მხოლოდ ხაზს უსვამს უკრაინისთვის ყველა საჭიროების დამაკმაყოფილებელი დახმარების მნიშვნელობას - ჰუმანიტარული, ეკონომიკური და უსაფრთხოების - რადგან იგი მამაცად იცავს თავის მცხოვრებლებს და თავისი არსებობის უფლებას“, - თქვა ბლინკენმა.

* * *

შეერთებული შტატების მხრიდან უკრაინის სამხედრო დახმარების ახალ პაკეტში, შესაძლოა, შორ დისტანციაზე მოქმედი რაკეტები შევიდეს, - ინფორმაციას Reuters-ი ამერიკელ ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით ავრცელებს. მათი თქმით, პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია მიმდინარე კვირის ბოლომდე, სავარაუდოდ, 2 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების დახმარების პაკეტს გამოაცხადებს. ახალი პაკეტი Patriot-ის საჰაერო თავდაცვის სისტემების დამხმარე აღჭურვილობას, მაღალი სიზუსტის საბრძოლო მასალასა და Javelin-ის ტანკსაწინააღმდეგო იარაღს მოიცავს.

* * *

გამორიცხული არ არის, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის პოლონეთში შეხვდეს, სადაც ჩასვლას, სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოსთვის გეგმავს. წერს პოლონური გამოცემა. გამოცემის ცნობით, პრეზიდენტების შეხვედრის ადგილად ორი ქალაქი განიხილება - უეშუვი და ვარშავა. ზელენსკი შეხვედრაზე, სავარაუდოდ, თავის სამშვიდობო გეგმას გააცნობს ბაიდენს, რომელიც 10 პუნქტისგან შედგება.

მოამზადა ნაირა ფუტკარაძემ

მომღერალი, რომელიც მუსიკის გარეშე თავს არარაობად გრძნობს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმელი მომღერალი გიორგი ფუტკარაძე თავდაპირველად საზოგადოებამ პროექტ „იქს-ფაქტორიდან“ გაიცნო. მან მალევე მოიპოვა ხალხის უზომო სიყვარული. შემდეგ საზღვარგარეთ სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, ბევრი იმოგზაურა და დაგვიბრუნდა

ახლახან გიორგი პროექტ „ვოისში“ ვიხილეთ, რომელსაც, სამწუხაროდ, ნახევარფინალიდან გამოეთიშა. როგორც თავად გაგვიმხილა, ამ პროექტმა უსამართლობის განცდა და იმედგაცრუება დაუტოვა. მომღერალი ამ ინტერვიუში თავის შემოქმედებაზე, მოგზაურობაზე გვესაუბრება და გულისტკივილის მიზეზსაც გვიმხელს.

- გიორგი, როდის დაიწყეთ სიმღერა, თქვენი პირველი ნაბიჯები ამ სფეროში...

- პირველი კავშირი მუსიკასთან როდის ან სად მქონდა, ნამდვილად არ მახსოვს. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ბავშვობაში, ბაღიდან მოყოლებული, ძალით მამღერებდნენ. შემდეგ საკმაოდ დიდხნიანი პაუზა მქონდა. 10-11 წლის ასაკში დედამ გიტარის გაკვეთილებზე შემიყვანა. რაღაც პერიოდი დავდიოდი, ალღო ვერ ავუღე და გამოვედი, რამდენიმე ხნის შემდეგ კი „იუთუბით“ დავიწყე გიტარის შესწავლა. შემდეგ მეზობლებს ვუმღეროდი ქუჩაში, მერე ავტობუსებში ვმღეროდი... ყველგან გიტარას დავათრევდი. ერთხელაც ქუჩის მუსიკოსთან გავბედე მისვლა და ვიმღერე. ისე მესიამოვნა, რომ კარგა ხანს მივდიოდი იქ და ვმღეროდი, მაგრამ ფული არასდროს მომითხოვია. შემდეგ ინდივიდუალურად დავიწყე ქუჩაში დაკვრა, ქუჩიდან ბარებში გადავედი და... ასე ნელ-ნელა მივედი პროექტებამდე.

- მათგან რომელი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად და რატომ?

- ჩემი აზრით, ყველაზე კარგი და ნამდვილი „იქს-ფაქტორში“ ვიყავი. მაშინ პატარა გახლდით, არაფერი ვიცოდი და არც მაინტერესებდა. ოღონდ მემღერა და სხვა რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევდი. სიმართლე გითხრათ, „იქს-ფაქტორმა“ სრულიად სხვანაირად დამანახა ჩემი შესაძლებლობები. უფრო გახსნილი გავხდი, თავისუფალი და თავდაჯერებული. სწორედ ამ პროექტის შემდეგ საზღვარგარეთ სხვადასხვა ფესტივალზე გამოვედი, რამაც ძალიან დიდი გამოცდილება შემძინა.

- ახლახან „ვოის-საქართველოს“ ნახევარფინალიდან გამოეთიშეთ. რა მოგცათ ამ პროექტმა?

- სამწუხაროდ, „ვოისმა“ მხოლოდ გულისტკივილი, უსამართლობის განცდა და

იმედგაცრუება მომიტანა. ვნანობ, რომ დავთანხმდი მეგობრებს და ოჯახის წევრებს ამ პროექტში მონაწილეობაზე. ყველაფერზე შემიცვალა წარმოდგენა, მათ შორის, ადამიანებზეც, რომლებიც სხვანაირები ჩანდნენ და სულ სხვანაირები აღმოჩნდნენ. დიდი იმედი მაქვს, შემდეგი წლიდან ეს პროექტი გაუქმდება, მეტიც, გამარჯვებული ევროვიზიაზე ამ პროექტით არ უნდა გადიოდეს. ამ ყველაფერს ბევრი მიზეზი აქვს, თუნდაც ის, რომ რეიტინგი საერთოდ აღარ აქვს, უკვე არც უყურებს არავინ, მხოლოდ კონკურსანტების სანათესაოთი და სანაცნობოთი შემოიფარგლება მაყურებლების რაოდენობა. არ მინდა გულგატეხილი და დაჩაგრული ვჩანდე, უბრალოდ, უამრავი ისეთი უსამართლობაა ფარდის უკან, რომ ამაზე საუბარიც კი არასასიამოვნოა ჩემთვის (არ ვგულისხმობ იმას, რომ მე უნდა გამემარჯვა, ჩემზე ბევრად კარგი მომღერალი იყო და არის კიდევაც ამ პროექტში!), ის კი არ მწყინს, რომ გამოვეთიშე პროექტს, დამოკიდებულება მწყინს ჩემი „ვითომ“ მენტორის. ის პატივისცემა, რომელიც ოდესღაც გვაკავშირებდა, უბრალოდ, გაუფასურდა. მოკლედ, „ვოისი“ ჩემთვის უაზრო დროის ფლანგვა აღმოჩნდა. ზუსტად იქ დავასრულე, სადაც უნდა დამესრულებინა პროექტებში მოღვაწეობა, ჩემივე საავტორო სიმღერით. ამიტომ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ზუსტად გავთვალე ეს ფაქტი.

- რა არის თქვენთვის მუსიკა, სცენა?

- მუსიკა ჩემი საკვებია, ვსაზრდოობ ამით. როცა მუსიკას ვშორდები, სრულ დეპრესიაში ვვარდები და არარაობა მგონია თავი. ძალიან ბევრჯერ მქონია ეს მომენტი ცხოვრებაში და სულ მეშინია მუსიკისგან შორს ყოფნა. სცენა ერთადერთი ადგილია, სადაც სულიერად „ვშიშვლდები“ და ხელმისაწვდომი ვხდები ყველასთვის. ვერც კი წარმომიდგენია ჩემი თავი მუსიკის და სცენის გარეშე. არც არასდროს მინდა მოვხვდე რეალობაში, სადაც მუსიკა ჩემგან შორს იქნება.

- კლიპის გადაღებაზე თუ გიფიქრიათ?

- თუ არ ვცდები, უკვე 6 კლიპი მაქვს გადაღებული. უბრალოდ, ჯერ არ ვასაჯაროებ. მომავალში აუცილებლად გამოვაქვეყნებ.

- უცხოეთში სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობდით. რით განსხვავდება იქაური კონკურსები ჩვენი კონკურსებისგან?

- დიახ, ბევრ ფესტივალში თუ პროექტში მიმიღია მონაწილეობა საქართველოში და საქართველოს გარეთაც. ჩემი აზრით, ძალიან მარტივია ამაზე პასუხის გაცემა - იქ სულ სხვა დონეა ურთიერთობის, მუსიკის, გაგების, დაფასების... უცხოელი მუსიკოსებიდან ძალიან ბევრი გავიცანი და ბევრი მეგობარი გავიჩინე. მათი წყალობით ბევრი ქვეყანა შემოვიარე. უცხოეთის ყველა პროექტი და ფესტივალი ჩემთვის უნიკალური და საოცარია.

- საზღვარგარეთ უფრო კრიტიკულია მაყურებელი თუ აქ?

- არც ვიცი, მაყურებლის კრიტიკა რას ნიშნავს. სადაც უნდა ვიყო, ყველგან გიორგი და ყველგან გულწრფელი ვარ, როცა მუსიკას ეხება საქმე. ამიტომ არც არასდროს მიგრძვნია კრიტიკა. ისე ვმღერი, როგორც მემღერება. არასდროს შევიცვლი ამ პოზიციას. ვფიქრობ, ადამიანებსაც ეს მოსწონთ ჩემში. ყველა ქვეყანაში ასეა - საქართველოშიც და უცხოეთშიც.

- რაღაც პერიოდი შვეიცარიაში ცხოვრობდით. ყველაზე მეტად რამ მიიქცია თქვენი ყურადღება?

- ბევრ ქვეყანაში მიცხოვრია და ვიცხოვრებ, ალბათ, მომავალშიც. მიყვარს ახალი კულტურების შეცნობა. ყველაზე დიდი პერიოდი შვეიცარიაში ვიყავი. საოცარი ქვეყანაა, სამუდამოდ დავრჩებოდი იქ, რომ არა ნოსტალგია და ამ „დაფლეთილი“ ქვეყნის უაზროდ დიდი სიყვარული. ყოველთვის ყველგან მტკივა ჩემი საქართველო და სადაც უნდა წავიდე, მაინც ყოველთვის უკან დავბრუნდები. შვეიცარიაში საოცარი ხალხი ცხოვრობს, ნამდვილი პატრიოტები, ისეთი არა, ჩვენთან სიტყვით რომ „პატრიოტობენ“. ზედმეტად განვითარებულები და გაწონასწორებულები არიან. ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში ქუჩაში ერთი უსახლკაროც არ შემხვედრია. ყველა ადამიანი პოზიტიური და ზომიერად ღიაა, იცის საკუთარი სივრცის ფასი. ძალიან მინდა, ჩვენი ქვეყანაც და ხალხიც ისეთი ბედნიერი იყოს, როგორებადაც მათ ვხედავდი. სამწუხაროდ, მთელ ევროპაში ქართველს სახელი აქვს გატეხილი, მაგრამ შვეიცარიაში ვინმეს ეჭვის თვალით არ შემოუხედავს (ქართველიც არ შემხვედრია და, ალბათ, ამიტომ). მოკლედ, საოცარი ქვეყანაა საოცარი ხალხით, უბრალოდ, ვერასდროს ვერსად დავრჩები დიდი ხნით. საქართველოს სხვა სურნელი აქვს, სხვა ფერები, სხვა ბგერები ისმის აქ. აქაურობა ჩემია, ჩემი სხეულის და სულის ნაწილია და თუ ოდესმე რამეს მივაღწევ იქ - უცხოეთში, ყოველთვის დიდი სიამაყით ვიტყვი, რომ ქართველი ვარ!

- როგორც ვიცი, სიმღერებსაც წერთ...

- საავტორო სიმღერებს დიდი ხანია ვწერ. „ქავერებს“ აღარ ვმღერი, რადგან ვეღარ ვიღებ სიამოვნებას სხვისი ემოციების ჩემად გადაკეთებით. მირჩევნია, ჩემივე ემოცია, სათქმელი ჩემი მუსიკით გადმოვცე. ასეთ დროს ნამდვილი ვარ, არც როლში შესვლა მიწევს და არც იმაზე ფიქრი, რომ იქნებ რომელიმე ნოტი ისე ვერ გამოვცე, როგორც ორიგინალში. ამიტომ, ჩემივე მუსიკით ვამბობ ჩემს ტკივილს თუ ბედნიერებას. სიმართლე გითხრათ, „მომღერალი“ არასდროს ვყოფილვარ, დიდად არც მუსიკალური სმენით გამოვირჩევი. უბრალოდ, ვმღერი იმას, რაც მემღერება და რასაც ნამდვილად ვგრძნობ.

- რომ არა მუსიკა, რომელ პროფესიას აირჩევდით?

- ალბათ, მეცნიერი ვიქნებოდი. სულ ახლის ძიებაში ხარ, სულ ცდილობ, გასცე კითხვებს პასუხი. უბრალოდ, ახლა უკვე ვერ წარმომიდგენია, რომ ოდესმე სხვა რამეს შევეჭიდები - სულით ხორცამდე მუსიკით ვცხოვრობ. ალბათ, ბოლო ამოსუნთქვამდე ასე ვიქნები.

- ამჟამად რას საქმიანობთ?

- ჩემი მუსიკით ვარ დაკავებული, სხვა არაფერი მაინტერესებს. დიდი ხანია არც ბარებში ვმუშაობ. უბრალოდ, არ შემიძლია სულ სიმღერა. ვცდილობ, ნაკლები ვიმღერო. გაგიკვირდებათ და, ასე მგონია, სიმღერის დროს, როცა ბოლომდე ვიხარჯები, ცხოვრების დღეები მაკლდება. იმდენ ემოციას ვდებ სიმღერაში, რომ ვიფიტები, მაგრამ ამავდროულად, ძალიან დიდ სიამოვნებას მგვრის ეს ყველაფერი. ყველა სიმღერის დროს ვწყდები რეალობას, სადღაც შავ ხვრელში შევდივარ და იქიდან გამოსვლას სიმღერის მერეც რთულად ვახერხებ, 10-15 წუთი ვერ ვაზროვნებ, ზუსტად ამ დროს ვკარგავ სიცოცხლის დღეებს, ჩემი აზრით. ეს ვიღაცისთვის შეიძლება სასაცილო იყოს, მაგრამ ჩემთვის რეალობაა. ამიტომ ვცდილობ, ჩემს ცხოვრებას და ჯანმრთელობას გავუფრთხილდე (ეს ხუმრობით, სიკვდილის არ მეშინია).

- რა გეგმები გაქვთ?

- არასდროს მაქვს ამ კითხვაზე პასუხი, რადგან როგორც მე ვარ გაურკვეველი, ისე მომავალიც ბუნდოვანია ჩემთვის. დიდი იმედი მაქვს, რომ ოდესმე ყველას მივაწვდენ ჩემს გრძნობას და ემოციას ჩემი მუსიკით.

„მელანი მაახლოებს ბუნების უთქმელ და ჯერ დაუწერელ სიტყვებთან“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*აჭარის წარმატებულ ადამიანთა პლეადაში ქედელმა **სალი ანანიძემ** მოკლე დროში დაიმკვიდრა თავი. ბსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, ახალგაზრდა მწერალი ცნობილი გახდა „პეგასის“ ფესტივალებში მონაწილეობის შემდეგ. იგი ამ ლიტერატურული ფორუმის სამგზის ფინალისტია, ასევე „მწიგნობრის“ არაერთ პროექტში წარმატებით მონაწილეობდა, მოწონება ხვდა წილად ლიტერატურულ გამოცემებში დაბეჭდილ მის ლექსებს. მალე მკითხველი ახალგაზრდა მწერლის წიგნსაც იხილავს...*

- რა სიახლეა თქვენს მწერლურ ცხოვრებაში, რით გაგვახარებთ?

- „მწერლური ცხოვრება“ ჩემი მაჯისცემის გახშირებული ნაწილია, განსაკუთრებით რომ ფეთქავს და ამ ფეთქვაშიც სამყარო თან მოაქვს მთელი თავისი ფარული იმედებით. სიახლეს რაც შეეხება, ვმუშაობ კრებულზე, რომელშიც შევა ჩემი ლექსებიც და ნოველებიც. უფლის ნებით, წელს დაიბადება ჩემი მეორე წიგნი - „მე“.

- ამას წინათ პროექტ „მომავლის ჟურნალისტის“ (მარიამ ბარამიძე) სტუმარი იყავით...

- „მწიგნობარი“ არის ადგილი წარმატების აგიზგიზებული ნაპერწკლით - ნაბიჯი, რომელსაც მისკენ

გადადგამ, სამუდამო წარმატებისთვისაა განწირული. ქალბატონები გიტა და მანანა კი საოცარი ადამიანები არიან, სიკეთითა და მზით სავსეები. ახლა რაც შეეხება პროექტში ჩემს მონაწილეობას, ეს იყო დაუვიწყარი გაკვეთილი და წინ გადადგმული ნაბიჯი ჩემს ცხოვრებაში. უდიდესი სიამოვნება მივიღე და კიდევ ერთხელ ჩავიხედე სარკეში, საიდანაც ჩემი ნამდვილი, ფერადი მომავალი მიცქერდა. ვპასუხობდი კითხვებს, ვკითხულობდი ლექსებს და მინდოდა, უსასრულოდ გაგრძელებულიყო. ეს დღე ჩემს პირად ისტორიაში უკვე ჩაიწერა მელნით, რომელსაც ვერცერთი საშლელი ვერ წაშლის.

- პოეზია თუ პროზა? სად შეძელით უკეთ თვითრეალიზაცია, საკუთარი შესაძლებლობების განსახოვნება?

- ამ კითხვაზე აქამდე სულ ვპასუხობდი, რომ პროზამ მომცა ფრთები, რომელსაც ისე მოვიქნევ, როგორც მე მინდა, მაგრამ ახლა ცოტა სხვანაირადაა - ისეთი დამოკიდებულება მაქვს, თითქოს არჩევანს დედასა და მამას შორის მაკეთებინებდეთ. ამიტომაც ამ კითხვაზე ერთი მტკიცე პასუხი აღარ მოიძებნება ჩემს გონებაში. თუ ჩავთვალე, რომ ეს არ შემიძლია, გამოდის, რომ ვერც შევძლებ და თავი უნდა დავანებო. ახლა ჩემი ფრთები ზეციცკენ იმდენადაა მიმართული, რომ შემეძლოს ვინავარდო პოეზიაშიც და პროზაშიც. დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს!..

- ფეისბუქგვერდზე ძალიან მგრძნობიარე მხატვრულ პოსტებს აქვეყნებთ, მაგალითად, ფრაზები: „... ჩემს სარკმელთან ჭრელი პეპლები ახალ ისტორიას თხზავენ, ისტორიას, რომელსაც სამ დღეს წაიკითხავენ და თითით მიწისკენ მოისვრიან“... განაგრძეთ, ახლა ჩვენი გაზეთიდან ესტუმრეთ მკითხველს.

- „დაბწკარულ ფურცელს ვუყვები სიზმრებს. ალბათ გავიღვიძებ, მაგრამ სიარული დამავიწყდება. დამავიწყდება, სიზმრებამდე რამხელა გზაა გასავლელი, შენ კი სამარადისოდ ფრაზებად აკინძულ წერტილებს დაგიტოვებ, რომ უჩემობა არ იგრძნო და არ გადამეჩვიო“... „ოთახის კედელზე მინარცხებული ყველა დაკუჭული ფურცელი ერთბაშად ამოვიოხრე! ჩჩშშშ... დამარცხების გზაჯვარედინზე ერთი ხელის მოქნევით გავედი და სიზმარს ვუხმე, იქნებ იქ მაინც შევძლო წერის სწავლა!“ - არც ერთი ჩემი დაწერილი სიტყვა არაა ქარის მოტანილი, ყველაფერი ნაგრძნობი და რეალურია. არც ვიცი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მაგრამ თვითონაც ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ვარ, სხვისი უბედურება იმდენად შემიძლია მივიტანო გულთან, რომ საკუთარი დამავიწყდეს. ვთვლი: მკითხველს ნიღბით მოცული ავტორი არ სჭირდება, ვერ ეყვარება. ჩემი პოსტებით ვეხები მათი გრძნობების დამალულ კუთხეს.

- „არის მომენტები, როცა რეალობა შენთან ახლოს მოდის და ხვდები, რომ ღმერთს ბედნიერებისთვის არ შეუქმნიხარ“, - ესეც თქვენი სიტყვებია. ეტყობა, გული გატკინეს... საერთოდ, რა არის ბედნიერება?

- „არის მომენტები, როცა რეალობა შენთან ახლოს მოდის და ხვდები, ღმერთს ბედნიერებისთვის არ შეუქმნიხარ, არც არავინ გამოუყოლებია შენი ისტორიის ფერად აბზაცებად. შენ, უბრალოდ, კიბე ხარ, რომელზეც თავისუფალ დროს ამოდიან, სულს იწმენდენ, მერე კი, „გაწმენდილები“, უკანმოუხედავად მიდიან ისე, თითქოს აღარასდროს დაბრუნდებიან. თუმცა არა! გახსოვდეს, ადამიანო, რომ ყელსაბამი, რომელიც გულმკერდს გილამაზებს, ერთხელაც ყელზე მოგებჯინება და ჟანგბადიან უსუსურობით დაგატოვებინებს კიბის მწვერვალს!...“ - ეს რამდენიმე ფრაზა რომ დავწერე და გადავიკითხე, თავადაც შევშფოთდი, იმდენად მძიმეა. განა ადამიანს ისე უცხოვრია, რომ მისთვის გული არ ეტკინოთ? მაგრამ არაუშავს, გული კი არ მატკინეს, გამოცდილება შემძინეს და მეტი არაფერი, ასე დატოვეს ჩემი ცხოვრება. ბედნიერების მცნების განმარტება ყველას თავისებურად ესმის, როგორც სიყვარულის, თუმცა ბედნიერება მდგომარეობაა, რომელიც ღიმილის და ხვალინდელობის ძალას გაძლევს. წვრილმანები ქმნიან ბედნიერების მთელ რიგ კოშკებს. ჩემთვის ბედნიერება ურთიერთობებია, წმინდა და ჯანსაღი ურთიერთობები, რომელსაც ჩემი ოჯახი, საყვარელი ადამიანები და ჩემი კუთხე მჩუქნის. ადამიანებო, ერთადერთი რამ გევალებათ: უბრალოდ, იყავით ბედნიერები და მიიღეთ სიამოვნება ყოველი წამისგან!

იხ. მე-7 გვ.

„ჯადოსნური ისტორიების შექმნას ვერ ისწავლი, ეს შენში უნდა იყოს“

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ზღაპრებს მნიშვნელოვანი სოციალური და მორალური ფუნქციის შესრულება შეუძლია ბავშვის განვითარებაში. როგორი სისწრაფითაც უნდა ვითარდებოდეს საზოგადოება, როგორც უნდა შეიცვალოს ღირებულებები, განწყობები, შეხედულებები აღზრდაზე, ბავშვობის წარმოდგენა ზღაპრების გარეშე შეუძლებელია. ჩვენი რესპონდენტი - ქალბატონი ***ნინო გვალია****, 50 ზღაპრის ავტორი, პროფესიით ფსიქოლოგია და ათი წლის განმავლობაში აჭარის კულტურის სამინისტროში მუშაობდა. ადრეული ასაკიდან წერს და ბათუმური ბავშვობიდან იმდენად ძლიერი შთაბეჭდილებები გამოჰყვა, რომ ერთ დღესაც ნინო გვალია, ფსევდონიმით ნინო ველი, მეზღაპრე გახდა.*

- გაგვეცანით...

- ნინო გვალია ერთი რიგითი ბათუმელია, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო, ხალხი, ახლობლები და მეგობრები, ცხოველები და მცენარეები, ირგვლივ ყველაფერი და აფასებს სიცოცხლეს. ის ადამიანია, რომელსაც პირფერობა არ უყვარს და არც შეუძლია. ხშირად ის ვერ ამბობს იმას, რასაც გრძნობს, მაგრამ არასოდეს იტყვის იმას, რასაც არ გრძნობს ნამდვილად.

- თქვენი გზა ბათუმიდან - ავსტრიაში...

- მტკივნეული, ჩემი უმცროსი შვილის საშველად გადმოხვეწილი, რადგან ჩემს ქვეყანაში მას არათუ მკურნალობის, ცოტაოდენი საარსებო პირობებიც არ ჰქონდა.

- ზოგჯერ შორს უნდა წავიდეს ადამიანი, საკუთარი თავი რომ აღმოაჩინოს...

- ამისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო, რაც შენშია, ის მაინც იპოვის თავის გზას, მაგრამ გარემო პირობები კი უნდა შეიცვალოს ნამდვილად და არა აქვს მნიშვნელობა, შემთხვევით მოხდება ეს თუ გამიზნულად. ჩემმა ახლობელმა, რომელიც თითქმის ოცი წელი ცხოვრობდა ავსტრიაში, მხოლოდ საქართველოში დაბრუნების შემდეგ იპოვა საკუთარი ადგილი და თავი.

- ზღაპრის წერისას მნიშვნელოვანია...

- შთაგონება, მუზა, სიყვარული, რომელსაც აქსოვ სტრიქონებში, იმ აზრების და ცოდნის მარცვლების მარტივად გადმოცემა, რაც გსურს, რომ მიიტანო პატარებამდე. ზღაპარი საუკეთესო აღმზრდელი და მასწავლებელია ბავშვისთვის. ზღაპრის გმირების ისტორიები, მათი ქცევები, მათი მოქმედების შედეგები, ხერხები რთული სიტუაციებიდან გამოსასვლელად ხშირად კარგ გაკვეთილებად იქცევა პატარისთვის იმაში გასარკვევად, თუ როგორ იცხოვროს და როგორ იურთიერთობოს ადამიანებთან. ზღაპრის დახმარებით ბავშვს უყალიბდება ზოგადი წარმოდგენა რეალობაზე, იღებს საწყის ცოდნას ცხოვრებაზე.

- რისი გაკეთება შეგიძლიათ ზღაპარში და როგორ ისწავლეთ ჯადოსნური ისტორიების შექმნა?

- ზღაპარში ყველაფერია შესაძლებელი და არც მე ვიზღუდავ თავს ფანტაზიაში, სიკეთეში, სიყვარულში, მაგრამ მინდა, ჩემი ისტორიები არ იყოს მოკლებული რეალობას. ჯადოსნური ისტორიების შექმნას ვერ ისწავლი, ეს შენში უნდა იყოს, თავად გჯეროდეს ზღაპრული სამყაროს არსებობა და ხედავდე მას ყოველ ცისმარე დღეს შენ ირგვლივ.

- დღეს ფსიქოლოგთა უმრავლესობა პრაქტიკაში არტ-თერაპიის მიმართულებას - „ზღაპრით თერაპიას“ იყენებს, რომელიც დღითი დღე პოპულარული ხდება. თქვენ, ალბათ, ზღაპრების წერაში პროფესიაც გეხმარებათ?

- ამაზე არც კი დავფიქრებულვარ, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, ქვეცნობიერად ასეც იყოს.

- რაში ეხმარება ზღაპარი ბავშვს და რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ზღაპრის გავლენა მასზე?

- ბავშვის გონება უსაზღვრო სასრუტია და ყველაზე და ყველაფერზეა დამოკიდებული, რას შეისრუტავს - მტვერს თუ ღირებულ თესლებს იმ საშენი მასალისა, რომელზეც სამომავლოდ უნდა აიგოს მისი მსოფლმხედველობა, სულიერი სიმდიდრე, მისი სინდისი და შეგნება. ხშირად გვგონია, რომ ბავშვი არ ისმენს, ყურადღებას არ აქცევს ჩვენს საუბარს, ზღაპრის ან ფილმის შინაარსს, ვერ ხვდება იმას, რაც ხდება ირგვლივ. მაგრამ ეს ასე არ არის, ბავშვი ყველაფერს იმახსოვრებს და ინახავს ქვეცნობიერში. ზოგი რამ იმდენად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ შესაძლებელია, ერთმა სიტყვამ, წინადადებამ ბევრი რამ შეცვალოს ბავშვში და სამუდამოდ დაამახსოვრდეს ეს. ზღაპრები ბავშვებს ფანტაზიის უნარს უვითარებს და ლამაზ ოცნებას ასწავლის, ამავე დროს, ზღაპრებმა უნდა ასწავლოს ბავშვს სიყვარული, სიკეთის კეთება, განუვითაროს სამართლიანობის გრძნობა.

- ნინო ველი - რატომ შეარჩიეთ ასეთი ფსევდონიმი?

- მიყვარს გაშლილი, უკიდეგანო სივრცე, ზღვა, მინდორი, ველი...

- „ზღაპრო-ბანი“...

- ეს არის კრებული, რომელშიც თავმოყრილია მოთხრობები და მინიატურები ზღაპრებთან ერთად. წიგნის ამ პირველ ნაწილში შევიდა ჩემი ოთხი ზღაპარი.

- „სამყაროს ორი ძალა ქმნის - ზღაპარი და ოცნება, დაბადებული ზღაპრიდან“. თქვენი შეხედულებით?

- ლამაზი აფორიზმია, მაგრამ დეიან სტოანოვიჩის ეს გამონათქვამი არასწორად არის მოწოდებული - ორიგინალი ასე ყღერს: „მუდმივობას ორი ძალა ქმნის - ზღაპარი და სიზმარი, დაბადებული ზღაპრიდან“. ჩემთვის სიზუსტე მნიშვნელოვანია. ჩემი მოსაზრებით - სამყაროს ორი ძალა ქმნის და სამყაროს ასევე მხოლოდ ორი ძალა გადაარჩენს - სიყვარული და სიკეთე. ზღაპარები ბავშვებს, მოზარდებს და უფროსებსაც კი აზიარებენ ამ ორ დიდ ძალას. „თუ გსურთ, ბავშვები იყვნენ ჭკვიანები, უკითხეთ მათ ზღაპრები. თუ გსურთ, ისინი იყვნენ კიდევ უფრო ჭკვიანები, უკითხეთ მათ კიდევ უფრო მეტი ზღაპრები“ - აინშტაინი...

- „იყო და არა იყო რა...“ - ყველაზე კარგ წარმოდგენაში როგორ დაასრულებდით?

- ქართული აზროვნების საგანძურს, ქართულ ფოლკლორს შესანიშნავი დასასრული აქვს ამ წინადადებისათვის - „ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“ და ეს ყველაზე კარგი დასასრულია.

გიორგი ხაბულიანი ესპანეთში მიემგზავრება

როგორც Geo Team-ი იტყობინება, გიორგი ხაბულიანი კარიერას ესპანურ „ლევანტეში“ გააგრძელებს. 18 წლის ფორვარდი უახლოეს პერიოდში სამუშაო ვიზას მიიღებს და ესპანეთში გაემგზავრება. მხარეებს შორის 2+2-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. როგორც ცნობილია, გიორგიმ საწყისი 2-წლიანი კონტრაქტი მეორე გუნდთან გააფორმა, დარჩენილი 2 კი პირველთან.

ამირან გურიელიძე

„მელანი მაახლოებს ბუნების უთქმელ და ჯერ დაუწერელ სიტყვებთან“

მე-6 გვერდიდან

- „პეგასი 2022“-ის ფინალისტი ხართ, ამის შესახებაც გვიამბეთ და აქვე თანმდევი კითხვა: რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა შემოქმედისთვის მსგავს კონკურსში მონაწილეობა?

- „პეგასი“, ზოგადად, იმდენად ახლოსაა ჩემთან, რომ მოვა დრო და ამაზე წიგნსაც დავწერ და იმიტომ კი არა, რომ დაწერილმა ორიოდ სიტყვამ წარმატება მომიტანა, ვიღაცამ ტაში დამიკრა და ასე შემდეგ, არა და არა! „პეგასი“ არის ურთიერთობები, „პეგასი“ სიყვარულია. ის ყველა ლამაზი გრძნობაა, რომელიც საზოგადოებას აკლია, რომელიც ყალიბდება რამდენიმე დღეში და იფურჩქნება დაუჭკნობელ კესანედ, რომელსაც პროექტის დასრულების შემდეგ თან ატარებ და სიამოვნებით ივსები. ვინაიდან აღნიშნულ პროექტს ასე ვუყურებ, ვთვლი, რომ სამივეჯერ მონაწილეობა ჩემი დიდი გამარჯვებით დასრულდა! ახალგაზრდებს ვეტყვი, რომ არცერთი კონკურსი არ გამოტოვონ, ესაა მაგალითი, როგორ უნდა გიხაროდეს სხვისი წარმატება და თვითონაც როგორ ეცადო საკუთარი თავის რეალიზებას. შანსები უნდა შეაგროვოს ახალმა თაობამ და მაქსიმალურად გამოიყენოს, კონკურსები კი ამის საწინდარია.

- მე-20 საუკუნის მწერლები და მეცნიერები კალმით წერდნენ, ახლა კლავიატურაზე კრეფენ სიტყვებს... თქვენ?

- მე სულ ვცდილობ, კალამთან მქონდეს შეხება, რადგანაც მელანი მაახლოებს ბუნების უთქმელ და ჯერ დაუწერელ სიტყვებთან.

- ოთარ ჭილაძის ნათქვამი მახსენდება - გინდ მარადიულ ომში წასულხარ და გინდ კალმისთვის მოგიკიდია ხელიო, თქვენ რას ფიქრობთ?

- „მარადიული ომი“ საკუთარ თავთან, ფიქრებთან, ხალხთან და სამყაროსთან - მართლაც, ასეა იმიტომ, რომ ისე გითრევს ეს პროცესი, ერთხელ თუ დაიჭერ ხელში კალამს, მერე ვალდებული ხდები, იარაღი შუა ველზე არ დააგდო და ებრძოლო სამყაროს. ეს ომი აუცილებლად უნდა მოვიგო!..

- საკუთარ თავს როგორ დაახასიათებთ?

- საკუთარ თავზე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, ვაკეთებ ჩუმად და შედეგს ვაჩვენებ სამყაროს. ვარ ის, ვინც ვარ და არ შემიძლია, ადამიანებს აფერისტობით ვეურთიერთო. ყოველთვის ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. ბევრი დამიკარგავს, ბევრი წარუმატებელი დღე მქონია, მაგრამ ძალას სულ ვპოულობ, რომ ფეხზე წამოვდგე. არ მიყვარს მკვეხარა და საკუთარ თავზე მეტისმეტი წარმოდგენის ადამიანები. ყველაზე მეტად მეშინია საყვარელი ადამიანების დაკარგვის.

- როცა სიცოცხლის არსზე ფიქრობთ...

- სიცოცხლის არსი პოვნაა შენი პიროვნების. თუ ცოცხლობ, მაშასადამე ვალდებული ხარ, არ იჯდე გულხელდაკრეფილი და სამყაროს დაუტოვო შენი სახელი. სიცოცხლე სიკვდილისთვის მზადების გრძელი და ეკლიანი გზაა, რომელიც მიზნებით უნდა გადალახო.

- თვისება, რომელიც ყველაზე მეტადაა თქვენში განვითარებული?

- შემიძლია ადამიანი სამარადისოდ მიყვარდეს და ყველა თვალსაზრისით გავუგო, თუ ამას ნამდვილად იმსახურებს.

- მარტო რომ რჩებით, რა არის თქვენი ფიქრის საგანი?

- მარტო როცა ვარ?.. სულ მეფიქრება მომავალზე და ჩემი წიგნის პრეზენტაციის დღეზე. მინდა. იგი ზღაპრული და დაუვიწყარი იყოს. მარტოობის ფიქრი უამრავია და ჩემს ამ მდგომარეობას ვერ გავასაჯაროებ - ის მხოლოდ მე და ჩემს სიმარტოვეს გვეხება. ვწუხვარ, რომ ადამიანებს სურთ, გრძნობდნენ სითბოს, ყურადღებას, მაგრამ თვითონ არასდროს გასცემენ იგივეს. მახარებს ის, რომ ჩემ გვერდით არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც სჯერათ ჩემი და ჩემთან ერთად იბრძვიან.

- ტრადიცია და ნოვატორობა... თქვენ საითკენ იხრებით?

- ნოვატორობა. არ მინდა, ვგავდე ვინმეს, პირიქით, ჩემი ნიშა, მიმართულება მინდა მქონდეს და შევქმნა ის, რაც არ შეუქმნია სხვას, თუმცა ტრადიციებს დიდ პატივს ვცემ.

- ვის კითხულობთ ხშირად და ვინ არიან თქვენი საყვარელი ავტორები?

- ამ ბოლო დროს ფსიქოლოგიური ტექსტები მიზიდავს. ყველა ავტორს ვცემ პატივს, რომელიც რაღაც ახალს მიტოვებს სასწავლად თავისი წიგნით.

- ბოდიში, მაპატიეთ – ამ სიტყვებს რამდენად ხშირად იყენებთ?

- საერთოდ არ მეუხერხულება ადამიანს ვუთხრა „მაპატიე“, თუ ის ჩემთვის ძვირფასია და ამ სიტყვას აზრი ექნება, ამიტომ ხშირად ვიყენებ, უბრალოდ, კარგად ვარჩევ, ვისთან გამოვიყენო.

- სწავლობთ ბსუ-ის უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის განხრით, როგორც გავიგე, ამ მხრივაც მნიშვნელოვან აქტივობებში ხართ ჩართული...

- უნივერსიტეტი ადგილია, სადაც ვიგებ, როგორი მასწავლებელი უნდა ვიყო რეალურად, სამშობლოს წარმატებული მოქალაქეები რომ აღვუზარდო, თუმცა აქ ვერაფერს ვაკეთებ ჩემი სამწერლო კარიერისთვის, ნაკლებია ლექსის წერის სურვილი, სამწუხაროდ!

- კითხვა, რომელსაც ხშირად გაიფიქრებთ და პასუხს მოითხოვს...

- „მხოლოდ პოეტს აქვს უფლება, იყოს უბედური“ - ამ ფრაზაზე ვფიქრობ ხშირად და ამ ფიქრებს სადღაც, უსასრულობამდე მივყავარ.

- თქვენი ერთი ლექსი...

- შვებას აღარ მგვრის სიტყვათ
შეწყობა,
ველარ ვერევი ერთგვარ დროთ
რიტმში.
მე თავს განებებ, წმინდა გაქცევით -
კარებს ვაღებ და ვკუჭავ
სითეთრეს.
შვებას აღარ მგვრის, ვიდგე
პირისპირ
გართხმულ ფრაზების
სასაფლაოსთან.
უთარიღოა გზაზედ შეხვედრა,
დღეიდან თარიღს წარსული
დათვლის.
რა დამამშვიდებს სარკის
ჩრდილებთან?
მჯობნის სარკმლიდან
გადახტომები!
ვითხოვ, უფალმა გამომაცალოს,
შვება სიტყვებით დაცლილ
წუთების.

განცხადება

გიგი გვაძაბია, ქეთევან კილაძე, ნანა, სულიკო დიასამიძეები, მარინა კვესელავა, დოდო, ავთო წუწუნავები თანაუგრძნობენ ციცო სარაჯიშვილს, მირანდა, თამარ, დავით შერვაშიძეებს მეღლისა და მამის
რევაზ შერვაშიძის
გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ეპისკოპოსის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 1/02/23, 21 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

შეხვედრა ქორეოგრაფ ქეთევან ბოლქვაძესთან

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში „სალონური საღამო ვახტანგ ღლონტთან“ მოეწყო, რომელზეც აუდიტორია ქორეოგრაფ ქეთევან ბოლქვაძეს შეხვდა

აქ ძირითადად ის ბათუმელები, ხელოვანები მოვიდნენ, ვინც ქორეოგრაფიის სფეროში მოღვაწეობენ და კარგად იცნობენ ქეთევან ბოლქვაძეს, რომელიც საპატიო ბათუმელის, პატიოსნებითა და სიკეთით სავსე ჩვენი თანაქალაქელის რეზო ბოლქვაძის შვილია.

საღამოს გმირმა აღნიშნა, რომ სცენაზე ცეკვა ძალიან უყვარს, ამ ამპლუაში ყოფნა კი მისთვის განსაკუთრებულად ამაღელვებელია. გაუხარდა, რომ აქ ყველა ის ადამიანი მოვიდა, ვისთანაც მას ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში უხდებოდა ურთიერთობა და როლებმაც მის ცხოვრებაში კეთილი კვალი დატოვეს. მან ხაზი გაუსვა, რომ თუკი მასში რაიმე დადებითია, ეს სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა.

ყველაფერი ოჯახიდან დაიწყო, მშობლებიდან, რომლებიც უზომოდ იყვნენ ხელოვნებაზე შეყვარებული. ის დღემდე ამაყობს მათით. ქეთევანს ყოველთვის ძალიან უყვარდა ცეკვა. ამბობს, ყველაფერი რომ თავიდან დაიწყოს, ისევ ცეკვას აირჩევს. სიყვარულით ისაუბრა ოჯახზე, რომელმაც ხელი შეუწყო, რომ დიდხანს მდგარიყო სცენაზე.

5 წლის იყო, როცა მამამ პირველად მიიყვანა ცნობილ ქორეოგრაფ ალექსანდრე ჯიჯეიშვილისა და ლოტბარ გრიშა გრეკოვის ჯგუფში. აქ, მართალია, ძალიან ცოტა ხანი დაჰყო, მაგრამ ამ პერიოდს დიდი სითბოთი იხსენებს. რასაც ცეკვის „შვიდი-რვა“ ჰქვია, გონებაში მტკიცედ პიონერთა პარკის ანსამბლში მისვლის შემდეგ „ჩაუჯდა“ ქორეოგრაფ თამაზ ბეჟანიძესთან მეცადინეობის დროს. მისი პირველი გაკვეთილი დღემდე ნათლად ახსოვს - როგორ უნდა ეჭიროს მოცეკვავე ქალს ხელის მტევანი... დღეს სწორედ ასე ასწავლის თავის მოცეკვავეებსაც. შემდეგ იყო ჩვენი ქალაქის კოლორიტის, ცნობილ ქორეოგრაფ ჯემალ ჩიჩუას ხელმძღვანელობით ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ანსამბლ „ტბეთში“ გატარებული საუკეთესო წლები. ამავე უნივერსიტეტში გახდა სტუდენტიც. დედას სურდა შვილი დაწყებითი კლასების პედაგოგი ყოფილიყო, მაგრამ მამა ცეკვაში უწყობდა ხელს. ის ქალიშვილს ყველანაირად დაუდგა გვერდით, რომ ცეკვას გაჰყოლოდა. შესანიშნავად რომ შეასრულა „ჯეირანი“, მაშინ დედაც კმაყოფილი დარჩა, მამამ კი სიხარულისგან ცრემლი ვერ შეიკავა. რამდენიმე წლის შემდეგ, უნივერსიტეტის დამთავრების დრო რომ მოვიდა, სიყვარულიც ეწვია. დაოჯახებული უკვე ენვერ ხაბაძისა და ნოდარ სურმანიძის მიერ დაარსებულ ბათუმის მერიის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ აკადემიურ ანსამბლ „ბათუმში“ ცეკვავდა. ქეთევანი ძალიან ემადლიერება მეუღლეს, ახალშეძენილ ოჯახს, რომ საყვარელ საქმეში ხელს უწყობდნენ. ამბობს, რომ ანსამბლ „ბათუმში“ ზღაპრული წლები გაატარა. როგორც ამბობს, ნახევარი საუკუნის გახდა, მაგრამ სცენას ვერ შორდება, ვერ ძლებს მის გარეშე. საღამოზე სიყვარულით გაიხსენეს ძველი ბათუმელი საამაყო მოცეკვავეები და ქორეოგრაფები, მათ შორის ენვერ ხაბაძე, ალექსანდრე ჯიჯეიშვილი, თამაზ ბეჟანიძე, ფატმან კობალაძე, თამაზ ჯახუტაშვილი, თემელ მიქელაძე, თოფან გაბაიძე, ნიაზ გოგიტიძე, იაშა ხალვაში, თემურ ფაღავა, ზური აბაშიძე... გამორჩეულები იყვნენ მუსიკოსები ზურაბ ბაღდადიშვილი, ენვერ ღოღობერიძე, იაშა ცენტერაძე, ხასან ღოღობერიძე... ზური ბაღდადიშვილის ჭიბონზე სოლო გამოსვლის შემდეგ ქეთევანი ასრულებდა განდაგანას, ასევე ენვერ ღოღობერიძის დოლის რიტმებზე ცეკვავდა. ამბობს, რომ ამ შესანიშნავ ადამიანებთან დიდი აკადემია გაიარა, რამაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა.

რა თქმა უნდა, დიდი წვლილი შეიტანეს მის ნაყოფიერ საქმიანობაში თემურ ბოლქვაძემ, შალვა გოგუაძემ, ნუგზარ მიქაძემ, მირანდა ბაღდადიშვილმა, მერაბ დოლიძემ, რომელთა მოსწავლედ თვლის თავს. რაც შეეხება მის მშობლიურ ანსამბლ „ბათუმს“, თქვა, რომ ის მისთვის ყველაფერია.

ქეთი ბოლქვაძე სრულიად პატარა იყო, როცა რეჟისორ ირაკლი კვრიკაძის ფილმში „მოცურავე“ მთავარი გმირის, მოცურავის შვილის როლი ითამაშა. გადაღებებზე ძმას, გელა ბოლქვაძეს დაჰყავდა. მაშინ ურთიერთობა მოუწია ცნობილ ადამიანებთან - ნანა ჯორჯაძესთან, გუჯა ბურდულთან (მთავარი როლის შემსრულებელი). შესაძლოა, მაშინ ბედნიერებას ბოლომდე ვერ აღიქვამდა, მაგრამ ეს გადაღებები და ურთიერთობები მყარად ჩაჯდა მის გონებაში.

- ბატონ ენვერთან როცა მოვედი, მირანდა ბაღდადიშვილმა ახალმოსულ მოცეკვავეებს მთელი პროგრამა შეგვასწავლა. მირანდას შემდეგ მე ვასრულებდი „განდაგანას“. ყველას მინდა მოვეფერო, თემურ დოლიძეს, რომელიც სულ „ჯაჯღანებს“, მაგრამ ძალიან თბილი და ყურადღებიანია, ნუგზარ მიქაძეს - ყველაზე ფორიაქას და ყურადღებიანს, შალვა გოგუაძეს, რომელიც სუხიშვილებში რომ ბრწყინვალე ქორეოგრაფები ჰყავთ, ისეთივეა ჩვენთვის - დიდი ქორეოგრაფი და ადამიანი. ყოველი მათგანისგან ვცდილობდი, საუკეთესო ამეღო, მე მათი ანაბეჭდი ვარ, თუმცა ანსამბლის ჩამოყალიბება მაინც ვერ გავბედე. ამიტომ შევქმენი მოყვარულთა კლუბი, - თქვა ქეთევან ბოლქვაძემ.

შეხვედრაზე კიდევ უფრო მეტი მოვიდოდა, დაპატიჟება რომ არ მორიდებოდა, თვლის, რომ ასეთ სალონურ საღამოს ბევრი იმსახურებს.

ქეთი ბოლქვაძემ 18 წელია, ქართული ცეკვის მოყვარულთა კლუბი დააარსა - „იცეკვე ქეთისთან და ნინოსთან ერთად“ (ნინო ჯიჯავაძე). მან სცენაზე კლუბის წევრი ბავშვები მოიწვია და მათთან ერთად თავადაც იცეკვა ნიაზ დიასამიძის მუსიკაზე შექმნილი ძალიან ლამაზი კომპოზიცია.

- ჩემი დიდი ხნის სურვილი იყო, რომ ქეთისთვის სალონური საღამო გამართულიყო. მისი ცეკვა ჩემს ბაბუს, თამაზ ჯახუტაშვილსაც ძალიან მოსწონდა, გამორჩეულად - მის მიერ შერულებული „განდაგანა“. შექებასაც არ იშურებდა. ქეთი საოცარი ქორეოგრაფია. მას შეუძლია, სრულიად მოუხერხებელ ადამიანებსაც კარგად შეასწავლოს ცეკვა, ბედნიერი ვარ, რომ ეს საღამო შედგა, - გვითხრა ბათუმის მუსიკალური ცენტრის პიარის სპეციალისტმა ხათუნა ჩხარტიშვილმა.

- აქ ისეთი ადამიანები გაიხსენეს, რომელთა უმრავლესობასთან მქონდა ურთიერთობა. პიონერთა პარკი ყველას უსაყვარლესი ადგილი იყო და მაშინ რეზო ბოლქვაძეს, რომელიც ამ პარკს ხელმძღვანელობდა, ყველა ვიცნობდით. კარგად ვიცნობდი საშა ჯიჯეიშვილსაც, რადგან ჩემს, 22-ე სკოლაში ასწავლიდა ცეკვას. მერე მის შვილებთანაც დავმეგობრდი. ასე რომ, ის, რაც აქ გაიხსენეს, ჩვენი ქალაქის ისტორიის შემადგენელი ნაწილია და ეს შეხვედრა ამ ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლინებაა, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ.

- ქეთევან ბოლქვაძე მაშინ გავიცანი, როცა 2007 წელს ბათუმის კულტურის ცენტრი დაფუძნდა. დიდი პატივი იყო მის მამასთან, ბატონ რეზოსთან ურთიერთობა. ის ყველას მეგობარი გახლდათ. ქეთევანი დღეს შესანიშნავი ხელოვანია. ალბათ ჩემს შვილიშვილებსაც მასთან მივიყვან, რომ ქართული ცეკვა შეასწავლოს, რადგან მასთან გაზრდილი ბავშვები ღირსეული ქართველები იქნებიან, - აღნიშნა ჩოხოსანმა თენგიზ თავდგირიძემ.

- ბევრი გასახსენებელი მაქვს, მე ხომ ანსამბლთან ერთად ხშირად დავდიოდი გასტროლზე, როცა ჩემი და, ქეთი, პატარა იყო, მამა გამაყოლებდა ხოლმე. მადლობა ყველას, ვინც დღეს მას ასეთი სასიამოვნო საღამო მოუწყო, - თქვა ქეთევანის ძმა გელა ბოლქვაძემ, რომელმაც ამ გასტროლებთან, ასევე ფილმის გადაღებასთან დაკავშირებული ბევრი სასიამოვნო წუთი გაიხსენა.

- გულნატკენი წავიდა ამ ქვეყნიდან ბატონი რეზო. შეხვედრისას სულ მეუბნებოდა, „ქართულს“ რატომ არ აცეკვებო... ჩემი ქეთი კარგი გოგოა, სიყვარულის, სიკეთის მატარებელია. კარგად ყოფნას ვუსურვებ, - აღნიშნა ქორეოგრაფმა თემურ ბოლქვაძემ.

ქეთი ბოლქვაძემ მადლობა გადაუხადა ხელოვნების ცენტრს, ბატონ ვახტანგ ღლონტს, ყველას, ვინც სალონური საღამო მოაწყო, ვინც უმასპინძლა.

სცენაზე რამდენჯერმე ვიხილეთ მოცეკვავე ქეთევან ბოლქვაძე, რომელმაც როგორც თავისი კლუბის ბავშვებთან, ისე ნინო ჯიჯავაძესთან და ანსამბლ „ბათუმის“ ყოფილ სოლისტ დავით გორგილაძესთან ერთად სახელდახელოდ შეასრულა ცეკვა „განდაგანა“, რითაც ნამდვილად დაამშვენა საღამო.

დარბაზის სტუმარი - ხელოვანი ოთარ დავითაძე

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

საზოგადოებრივ-რუდუნებითი დარბაზი „წუთისოფელი ასეა“ ამჯერად ღირსეულ შუახეველს, ეროვნული ფოლკლორის ქომაგს, არაერთი რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატს, სამთავრობო ჯილდოების მფლობელს, „საპატიო შუახეველს“, დავითაძეთა გვარის ერთ-ერთ უხუცესს ოთარ სულეიმანის ძე დავითაძეს მასპინძლობდა

შუახევის რაიონული ბიბლიოთეკის დარბაზში შეკრებილებს სტუმრის შემოქმედებითი გზა გააცნეს დარბაზის ხელმძღვანელმა ოთარ ცინარიძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, შუახევის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დავითაძემ, პოეტმა ფრიდონ დავითაძემ, ფოლკლორული ანსამბლ „შუახევის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ნოდარ ბერიძემ, შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორმა მაია დავითაძემ, აკომპანიატორმა როლანდ ივანაძემ, ოთარის მეუღლე ნანული კაიკაციშვილმა, შვილმა დავით დავითაძემ.

70 წელზე მეტია ოთარ დავითაძე კულტურისა და ხელოვნების სამსახურშია. იგი იმ შუახეველთა შორის იყო, 1957 წელს თბილისელი მაყურებლის წინაშე ცეკვა „ხორუმით“ რომ წარსდგნენ. მან ადგილობრივ ფოლკლორში საკუთარი ნიმუშები გააცოცხლა. მის ხელოვნებას ეზიარნენ რუმინეთში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, პოლონეთში, თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში, ბულგარეთში.

მწერალმა, კინომოყვარულმა ვახტანგ გოგრაჭაძემ ოთარ დავითაძის ნაყოფიერ ცხოვრებას დოკუმენტური ფილმი მიუძღვნა, რომელიც იმ დღეს წარადგინა.

- შუახევში ოთარ დავითაძის სადარი ხელოვანები არ გვყავს. გარკვეული მიზეზების გამო, მას დღემდე ასე საჯაროდ ვერ მოვეფერეთ, ამჯერად დარბაზმა „წუთისოფელი ასეა“ ამის პატივი დაგვდო. ბატონ ოთარს ჯანმრთელობას ვუსურვებ, დარბაზს - წარმატებებს, - თქვა ომარ ტაკიძემ.

დამსწრეთა წინაშე ცეკვებითა და სიმღერებით წარსდგნენ შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვების“ სოლისტები ნოდარ დავითაძე, დავით მაკარაძე და ფოლკლორულ ანსამბლ „შუახევის“ წევრები.

ოთარ დავითაძემ ღონისძიების ორგანიზატორსა და დამსწრეთ მადლობა გადაუხადა.

- ჩემი მრავალწლიანი ცხოვრების გზაზე ყველაზე სასიხარულო და დასამახსოვრებელი დღე მქონდა. საზოგადოება მომეფერა, გაწეული ამაგი შემიფასა, მადლობა ყველას, - აღნიშნა დარბაზის სტუმარმა.

ბაკურიანი ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

იტალიაში დასრულდა ევროპის ზამთრის მე-16 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომელიც 21-28 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა

ფესტივალში 47 ქვეყნის სპორტსმენებმა სპორტის 13 სახეობაში იასპარეზეს. საქართველოდან სპორტის ოთხ სახეობაში 8 სპორტსმენი გამოვიდა. მათგან კარგი შედეგი აჩვენა ქართველმა მოციგურავე კონსტანტინე სუპატაშვილმა, რომელმაც წლევანდელი ოლიმპიური ფესტივალის ვერცხლი დაისაკუთრა. დახურვის ცერემონიაზე საქართველოს ეროვნული დროშა სწორედ მას მიჰქონდა.

ქალაქ უდინეში გამართული ფესტივალის დახურვის ცერემონიას ესწრებოდნენ სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, ვიცე-პრეზიდენტი, „ბაკურიანი-2025“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მამუკა ხაბარელი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არბოლიშვილი, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე ეკატერინე ორჯონიკიძე, საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის სხვა წევრები. ევროპის ზამთრის XVII ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს საქართველო, კერძოდ, ბაკურიანი 2025 წელს უმასპინძლებს. დახურვის ცერემონიის დასასრულს, საქართველოს, როგორც მასპინძელ ქვეყანას, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების (EOC) დროშა მისმა პრეზიდენტმა სპიროს კაპრალოსმა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს ოთარ არბოლიშვილს გადასცა.

როგორც ლერი ხაბელოვმა აღნიშნა: „ეს არის განსაკუთრებული დღე ქართული სპორტისთვის - ჩვენ გადმოგვეცა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების დროშა ნიშნად იმისა, რომ მომავალი ოლიმპიური ფესტივალი საქართველოში გაიმართება, შესაბამისად, დაგვეკისრა დიდი პასუხისმგებლობა. დრო ცოტაა, საქმე - ძალიან ბევრი. მომავალი ორი წლის განმავლობაში მოგვიწევს ყოველდღიური მუშაობა საორგანიზაციო საკითხებზე, ინფრასტრუქტურულ და სხვა მნიშვნელოვან პროექტებზე, რათა ევროპულ ფესტივალს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ. იმედი მაქვს, რომ მთავრობის მხარდაჭერით, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, ბორჯომის მუნიციპალიტეტთან, ბაკურიანის განვითარების სააგენტოსთან, შესაბამის სპორტულ ფედერაციებთან თანამშრომლობით, ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს ღირსეულად ვუმასპინძლებთ“.